ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისუფალი საქართველო

მრგვალი მაგიდის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

22 XI 1991 ფასი 50 კაპ. № 44 (49)



წმინდა გიორგის ხატი (სვანეთიდან)

მთავარმოწამეობა

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა ხაბჭომ საყოველთაო უქმედ გამოაცხადა ზოგიერთი საეკლესიო დღესასწაული. მათ შორის ერთ-ერთია ბიორბობა — 10 (23) ნოემბერი.

სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, წმიდა მთავარმოწამე გიორგის ხსენებას მხოლოდ 23 აპრილს (6 მაისს) აღნიშნავენ. ჩვენთან კი, 10 (23) ნოემბრის გიორგობა ქართულ ეროვნულ დღესასწაულადაა მიჩნეული.

როგორ წარმოიშვა 10 ნოემბრის გიორგობის დღესასწაული? რა უდევს საფუძვლად ქართული ეორტოლოგიის ამ თავისებურებას? — მეცნიერებაში არაერთხელ იყო ცდა ამ საკითხის გადაწყვეტისა. გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთაგან ერთ-ერთს წინამდებარე წერილში გაეცნობით.

10 ნოემბერი (ახ. სტილით — 23 ნოემბერი) განსაკუთრებული დღესასწაულია საქართველოში. დიდებული ზეციური მეოხის — წმიდა მთავარმოწამე გიორგის ხსენებას შეუორგულებელი სარწმუნოებითა და მხურვალე სიყვარულით აღსრულებენ სიწმიდის მოყვარე გეორგიანნი. სხვა დიდ-მოწამეთაგან განსხვავებით (თეოდორე ტირონი, დემეტრე თესალონიკელი, პანტელეიმონი და სხვ.) წმიდა საკვირველთმოქმედსა და ძლევაშემოსილ ქრისტეს მხედარს — გიორგი კაბადუკიელს ქართველმა ერმა **მთავარმოწამე** უწოდა. ასეთი ტიტული არც საეკლესიო „განგებაში“ (ბერძნ. აკოლუთია) გვხვდება, არც უცხოური წარმოშობის სხვა რომელიმე წერილობით ძეგლში.

საყოველთაოდ ცნობილია წმიდა გიორგის მოწამებრივი აღსასრულის დღე — 23 აპრილი (ახ. სტილით — 6 მაისი). ამ დღეს ზეიმობენ წმიდა გიორგის ხსენებას მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში, 10 ნოემბერი კი, **მხოლოდ საქართველოში** აღინიშნება (რუსულ საეკლესიო კალენდარში ეს დღესასწაული აღნიშნულია, მაგრამ იქვე მითითებულია, რომ ეს არის მხოლოდ ქართული ეკლესიის თვისებურება).

როგორ წარმოიშვა 10 ნოემბრის გიორგობა?

როგორც ძველი ქართული ლიტურგიკული ძეგლები მოწმობენ, ეს დღესასწაული უძველესი დროიდანაა ცნობილი. იგი აღნიშნულია ჯერ კიდევ VII საუკუნის „იერუსალიმურ გახჩინებაში“, აგრეთვე სინელი მწიგნობრის იოანე-ზოსიმეს (X ს.) კალენდარში, გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) „დიდ სვინაქსარში“ და ა. შ.

გიორგი მთაწმინდელის ცნობით, 10 ნოემბერს მოიხსენებოდა წმიდა გიორგის წამება **ურმის თვალზე.** მისივე სიტყვით, ეს დღესასწაული ძველთაგანვე ყოფილა დაწესებული საბერძნეთში, ამჟამად კი მას ძველებური ზეიმით აღარ აღნიშნავენო. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, ბერძნებმა სრულიად მიივიწყეს ეს დღესასწაული (ბერძნულ წერილობით წყაროებში მისი კვალიც კი არსად შემორჩა), ქართველებმა კი დღემდე შემოინახეს.

გიორგი მთაწმინდელის ცნობას 10 ნოემბრის დღესასწაულის ბერძნული წარმოშობის შესახებ, დიდხანს ეჭვის თვალით უყურებდა მეცნიერება (კ. კეკელიძე, ელ. მეტრეველი, ც. ჭანკოევი, ლ. ხევსურიანი). მიჩნეული იყო, რომ ამ დღეს იდღესასწაულებოდა არა ურმის თვალზე წმიდა გიორგის წამება, არამედ წარგზავნა (ან: **ხწორი**) ლუდიის ეკლესიის განახლების დღესასწაულისა, რომელიც 3 ნოემბერს იყო დადებული (ლუდიის ეკლესია კი წმიდა გიორგის სახელს დაუკავშირდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იქ დაუსვენებიათ მისი ნაწილები).

გიორგი მთაწმინდელის კალენდარული ცნობის სისწორის დადასტურებას მოხერხდა ქიზიყის სოფელ ზემო მაჩხაანში არსებული **არმათიონის წმიდა გიორგის** ეკლესიაში შემორჩენილი სადღესასწაულო ტრადიციის გათვალისწინებით. გიორგობას ამ ეკლესიაში, ძველთაგან მომდინარე ჩვეულების თანახმად, **მხოლოდ** შემოდგომაზე, 10 ნოემბერს აღნიშნავენ (იგივე ითქმის ძველი გავაზის წმიდა გიორგის ეკლესიის შესახებაც). სხვა ეკლესიებში კი, როგორც ცნობილია, გიორგობას წელიწადში ორჯერ — 23 აპრილსა და 10 ნოემბერს დღესასწაულობენ.

თუ ერთმანეთს დავუკავშირებთ „დიდი სვინქსარის“ ცნობას 10 ნოემბრის დღესასწაულის შინაარსის შესახებ (სახელდობრ, **ურმის თვალზე** წმიდა გიორგის წამებას) და იმ ტაძრის სახელს, სადაც ეს დღესასწაული იმართება (**არმათიონი**), ბუნებრივია, ზემო მაჩხაანის „**არმათიონი**“ მივიჩნიოთ ბერძნული ჰარმა (ჰარმატოს)-ისაგან წარმომდგარად, რადგან ეს სიტყვა სწორედ **ურემს** ნიშნავს.

მაშასადამე, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფას შემოუნახავს არა მარტო წმიდა გიორგის ურმის თვალზე წამების ხსენება, არამედ ამ დღესასწაულის გამომხატველი ბერძნული ტერმინიც: **არმათიონის წმიდა გიორგი** (ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, 1989, № 3, გვ. 80-83).

ყურადღებას იქცევს „არმათიონის“ დაკავშირება „არმაზ“-თან. არმაზი ისტორიული ტ' -დიციით („ქართლის ცხოვრება“, ქართული წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაებად იყო მიჩნეული; დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი კი, როგორც ვიცით, ასეთ ღვთაებად მთვარეს მიიჩნევდა.

ყველასათვის ცნობილია ივანე ჯავახიშვილის ჰიპოთეზა ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების — მთვარის თაყვანისცემასა და ქრისტიანი წმიდანის — მთავარმოწამე გიორგის კულტს შორის ტიპოლოგიური კავშირის შესახებ.

ამ ჰიპოთეზას ბშირად უნდობლად ეკიდებიან, მაგრამ მის სასარგებლოდაც არაერთი საყურადღებო არგუმენტი იქნა წამოყენებული უკანასკნელ ხანებში.

როგორც ცნობილია, მეცნიერებაში უკვე საკმაოდაა გავრცელებული თვალსაზრისი ქართული წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაების — არმაზისა და მთვარის კულტის იგივეობის შესახებ. ასეთი ვარაუდი პირველად გამოთქვა აკად. შალვა ამირანაშვილმა. შემდეგ ა. ბოლტუნოვამ ხეთურ მასალაზე დაყრდნობით დაამტკიცა არმაზის (მთვარის კულტის) მცირეაზიური (ხეთური) წარმომავლობა (ხეთურ პანთეონში, როგორც ვიცით, არმა — მთვარის ღვთაება იყო).

მკვლევარის შედეგები გაიზიარეს ცნობილმა მეცნიერებმა: გ. მელიქიშვილმა, კ. გრიგოლიამ, გ. გიორგაძემ, ა. აფაქიძემ...

არმაზის კულტის რაობის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ითრუჯანის ვინაობის დადგენას.

აკად. კორნელი კეკელიძემ წმიდა ნინოს ცხოვრებაში დაცული ცნობების საფუძველზე გამოარკვია **ითრუჯანის** ეტიმოლოგია (კ. კეკელიძე, ეტიუდები... I, 266-270). ითრუჯანი, როგორც ვიცით, ქალდეველთა ღმერთადაა მოხსენებული ქართულ საისტორიო წყაროებში. **არმაზის** კერპის დამსხვრევის შემდეგ, მირიან მეფესა და მის თანმხლებთ ასე განუმარტავთ ეს ფაქტი: „ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან და ჩუენი ესე ღმერთი არმაზ ყოვლადვე მტერ არიან. ამან სამე მას ზედა ზღუა მოაქცია, და აწ მან შური იძია და მის მიერ მოიწია ესე“.

როგორც კ. კეკელიძემ დაასკვნა, არმაზის კერპის დალეწვა ჭეშა-ჭუხილსა და მეხისტეხას გამოუწვევია, ამის შემძლებელი **ითრუჯანი** კი, თავისი ბუნებით, — ცეცხლთან წილნაყარი, ცეცხლის ღვთაება უნდა ყოფილიყო (ე. ი. ცეცხლთაყვანისმცემელთა **ატროშანი**).

თუ ამავე მეთოდით გამოვიძიებთ არმაზის საღმრთო ბუნებას, დავრწმუნდებით, რომ იგი მართლაც მთვარის ღვთაებაა. მან, მირიან მეფის სიტყვით, ითრუჯანზე (ცეცხლზე) ზღვა მიაქცია; ზღვის მიმოქცევას კი, როგორც ცნობილია, მთვარე (მისტიკური გაგებით — მთვარის ღმერთი) განაგებს (იხ. „ჯვარი ვაზისა“, 1990 წ. № 2).

რამ გამოიწვია ქრისტიანი წმიდანის — გიორგი მთავარმოწამის დაკავშირება წარმართული პანთეონის უზენაეს ღვთაება მთვარესთან (არმაზთან)?

უნდა ითქვას, რომ წმიდა გიორგის თაყვანისცემასა და მთავარის წარმართულ კულტს შორის კავშირი რიტუალურ მხარეს ვერ გასცდებოდა; წმიდა გიორგისა და მთვარის გასაიგივებლად არავითარი საფუძველი არ ექნებოდათ ქრისტიან ქართველებს.

მაშ რამ გამოიწვია მათ შორის ის რიტუალური მსგავსება, რომლის ნაშთებზე დაკვირვებითაც წამოაყენა ივანე ჯავახიშვილმა ჰიპოთეზა წმიდა გიორგის ჯავახიშვილმა ჰიპოთეზა წმიდა გიორგის კულტად მთვარის თაყვანისცემის გარდასახვის შესახებ?

ვფიქრობთ, ამის ახსნის შესაძლებლობას გვაძლევს მთავარმოწამე გიორგის 10 ნოემბრის დღესასწაული.

როგორც გამოირკვა, არმაზის კერპი — მთვარის ღვთაების ანთროპომორფული გამოსახულება ყოფილა (**არმა**, როგორც ვთქვით, ხეთური წარმოშობის მთვარის ღვთაებაა). ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ ხანებში, საფიქრებელია, არმაზის სახსენებელი ერობაშად არ მოისპობოდა. **არმა** (არმაზი) ქართველთათვის ერთხანს კიდევ დარჩებოდა მშობლიურ სიწმინდედ.

და აი, ქრისტიანულ ეკლესიას საქართველოში შემოაქვს ხსენება წმიდა დიდი მოწამის გიორგისა (+303 წ), რომლის ერთ-ერთ დღესასწაულს **არმათიონი** (ბერძნ. **ურმის** თვალზე წამება) ჰქვია. მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ხალხური ეტიმოლოგიით „**არმათიონი** წმიდა გიორგი“ — არმას (ე. ი. არმაზის) მხედრობის წევრად გააზრებულიყო-იონ სუფიქსი, როგორც ვიცით, წარმომავლობის მაჩვენებელია (შდრ.: შატილიონი, არხოტიონი, როშკიონი, საყდრიონი, მხედრიონი და ა. შ.). „**არმათიონის**“ დაბოლოება (-იონ) ამავე ფუნქციის მქონედ შეიძლებოდა გააზრებულიყო („**არმათ-იონ**“, ე. ი. **არმას** მიმდევარი).

ამგვარად, **არმათიონი**, შესაძლოა, ხალხის ცნობიერებამ ძველი წარმართული კერპის — არმას (არმაზის) სახელს დაუკავშირა, და ბუნებრივია, რომ „**არმათიონი** წმიდა გიორგისათვის“ ივივე პატივი მიეგო, რასაც ადრე წარმართულ კერპს („**არმას**“, ანუ **არმაზს**) მიაგებდა ხოლმე (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“-ში).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ურმის თვალზე წამებული („**არმათიონი**“) წმიდა გიორგის ტიტულის — მთავარმოწამის — უნიკალურობა ისევ **მთვარეხთან** დაკავშირების საფუძველს გვაძლევს (მთვარ-მთავარ). გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ მთვარესთან დაკავშირებულ წმიდა დიდმოწამეს (დაკავშირება, როგორც ვთქვით, „**არმათონის**“ დღესასწაულის წყალობით შეიძლებოდა მომხდარიყო) ხალხურ მეტყველებაში თავდაპირველად „მთვარ-მოწამე“ შერქმეოდა. მოგვიანებით, ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად, „მთვარ-მოწამის“ წოდებაში „მთვარის“ ნიუანსი უთუოდ უნდა დარჩენილიყო. ამრიგად, ფონეტიკური სიახლოვის გამო „მთვარ-მოწამის“ „მთავარ-მოწამედ“ გააზრებას ყოველგვარი დაბრკოლება მოეხსენებოდა. საგულისხმოა, რომ მთიულეთში (ხადაში) დღემდეა შემორჩენილი წმიდა გიორგის ეკლესია, რომელსაც მთორ-მეწამე (მთვარ-მეწამე) ჰქვია.

უძველესი წარმოშობის დღესასწაულის — წმიდა გიორგის ურმის თვალზე წამების მოსახსენებლის — შენახვა ქართული ეკლესიის მიერ, ქართველი ერის კეთილმსახურებისა და სიწმიდისმოყვარეობის ცხადი მაგალითია.

ეკ. ჭლოველი

კვლავ ისევ საქმობს მკვდარიო

თითქოს დაემხო კომუნისტური რეჟიმი საქართველოში, კომუნისტური პარტიაც გავაუქმეთ და კომუნისტური ინსტიტუტებიც, მაგრამ დარჩა კომუნისტური აზროვნება საზოგადოებრივ ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმული. ეს იმ ტიპის აზროვნებაა, რომელიც ამკვიდრებს ცნებათა და ფასეულობათა აღრევა-ჩანაცვლებას, სიტყვასთან შეუსაბამო მოქმედებას, არგუმენტაციის უგულებელყოფას, ფაქტების გაყალბებას და რაც ყველაზე საზიფათოა, ორმაგი ლოგიკის, ორმაგი მორალის არსებობის შესაძლებლობას. ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ამგვარი გაუკუღმართებელი მსოფლაღქმა, სრულიად დაუცველს ტოვებს ადამიანს, ვინაიდან არ არსებობს მყარი შეხედულებები სიკეთის, ბოროტების, ვაჟკაცობის, ერთგულების, სიყვარულისა და სიძულვილის შესახებ, თვით სამშობლოს თავისუფლების საკითხიც კი, გარკვეული პირობითობის გარემოში განიხილება.

ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ჩეჩნეთ-ინგუშეთში ბევრ რაზეზე აგვიხილა თვალი, დაგვანახვა, რომ, არსებობს ხალხი, აქვე ჩვენს მეზობლად, რომელთა ცნობიერებას გაუსაძლისი ობიექტური პირობების მიუხედავად, არ გაუთავისებია კომუნისტური ორმაგი მორალი, არ დამორჩილებია, არ დამონებია მას... სამშობლო განსაცდელშია და ყველა დანარჩენი პრობლემა უკანა პლანზე ინაცვლებს. სრული ერთსულოვნება, ვაჟკაცური შემართება, თავდადება და უეჭველი გამარჯვება — აი ეს არის შედეგი, როდესაც ყველა მოვლენას თავისი სახელი ქვია, როდესაც მორალი ერთია და როცა სამშობლოს სიყვარულზე მაღალი იდეალი არ არსებობს.

ახლა ვნახოთ რა ხდება, როდესაც ერთი და იგივე საქციელი ერთ შემთხვევაში ქებას, ხოლო მეორე შემთხვევაში ძაგებას იმსახურებს. ქვეყნის ტერიტორიის სელყოფის მცდელობას — ეთნოკონფლიქტს ვეძახით, როდესაც შეიარაღებულ თავდასხმას ხელისუფლებაზე — დემოკრატიის წმინდა იდეალებისთვის მშვიდობიან ბრძოლად ვნათლავთ, შუა ქალაქში ზარბაზნის სროლას კი, უბრალო შემთხვევითობას მივაწერთ. ამგვარ გაღატაკებულ ფსიქოლოგიას შედეგად მოაქვს ქართული სოფლების გაპარტახება, ძარცვა და ყლეფა შიდა ქართლში, არნახული კრიმინოგენული სიტუაცია მთელს საქართველოში, უკანონობა, ანარქია. თუ არა ორმაგი ლოგიკა, მაშ ბა რა უნდა შეიარაღებულ სამხედრო ნაწილს თბილისში, როდესაც ქვეყანას მტერი განადგურებით ემუქრება? დემოკრატიისთვის მებრძოლთ ვიცავთ, სასაცილოა; არა, ალბათ უფრო სატირელი.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გამოიყენება ნებისმიერი წერილი გაკეთებული ოპოზიციური პრესა ფურცლებზე. აი მაგალითად, პედაგოგ რევაზ სადუნიშვილის პუბლიკაცია სათაურით „ვთქვათ აწმყო სიმართლე“ დასტამბული გაზ. „ახალგაზრდა ივერიელში“ № [illegible]. პატივცემული პედაგოგი აღნიშნავს, რომ, „მთელი ერის ასეული ლანძღვა ელემენტარულად ადამიანურია“. ბატონ ავტორს მხედველობაში ჰყავს ოსი ერი, თანაშეუკავებლად გალანძღული ერი ელთა მიერ. ავტორის ეს მოსაზრება გარკვეულწილად [illegible] იქნებოდა, რომ არა ერთ [illegible]ზე შემდეგნაირი განცხადება: „... კვლავ დაბნეულები ვართ, რაც დაბალი პოლიტიკური კულტურისა და არაკომპეტენტურობის ნიშანია, ან „მრავალწლიანმა თავგადასავლების დეფიციტმა ჩვენში [illegible] ჩამოაყალიბა კერძოსაყვანისმაგვარი ფსიქოლოგია, ადამიანი აქცია კრიტიკისუნარო კლებულ, შემსრულებელ სუბიექტად.... ჩვენს თავს დატეხილ ყველა უბედურებას ერთი ძირი, ერთი მიზეზი აქვს — ქართული თვითმეგობრების, ერის ხასიათის დეგრადაციაა..., ქართველი ხალხი იქცა სოციალურ მასალად, რომელმაც დაკარგა ერისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თვისებები: თვითშეგნება, თავმოყვარეობა, განვითარების, სიცოცხლის, თავდაცვის, გამარჯვების ან თუნდაც ღირსეული დამარცხების უნარი“ — როგორ მოგწონთ ბატონებო, დაიკვირდით ძვირფასი ავტორის გაუკუღმართებულ ლოგიკას, თუმცა რისი თქმაც არ შეიძლება ერთი ერის, კერძოდ ოსების მიმართ, სრულიად გამართლებულია მეორე ერთან მიმართებაში. პატივცემული პედაგოგს მრავლად მოჰყავს მაგალითები ოსი ერის დამსახურებისა საქართველოს წინაშე, მაგრამ „მწარე სიმართლის“ მთქმელს ავიწყდება საწინააღმდეგო ფაქტების წარმოჩენა. რატომ? როგორც ჩანს, წერილის ავტორს ვერ გაუაზრებია, რომ დღეს ე. წ. ოსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ მისი ტერიტორიის ხელყოფის მიზნით, არცერთ ქვეყანას მთელს მსოფლიოში, თავისი ტერიტორია უბრძოლველად არ დაუთმია და შემწყნარებლობა არ მოუთხოვია თავისი ხალხისაგან, მოძალადის მიმართ. როგორც ჩანს, ბატონ სადუნიშვილს კომუნისტური ეპოქიდან აქვს გამოყოლილი ტერმინოლოგიის შერჩევის მეთოდი— გახსოვთ ალბათ, ომს „განთავისუფლება“, ან „ინტერნაციონალური გალის აღსრულება“ რომ ერქვა. ახლა კრიზისი ქვია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი „სამაჩაბლოს კრიზისი“. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ ცნებებია აღრეული, ორმაგი სტანდარტი მოქმედებს — დიად შემკვიდრეობას ვგრძელებთ.

დიდად აღუშფოთებია ბატონი პედაგოგი იმ ფაქტს, რომ, საინფორმაციო საშუალებები შეულამზაზლად აღწერენ ვითარებას სამაჩაბლოში, რომელი ფაქტების შელამაზება-დაფარვაზეა ლაპარაკი ბატონო რევაზ **ომის დროს?** სამაჩაბლოში ომია, დაუნდობელი ომი და არა კრიზისის გამწვავება, როგორც თქვენ ბრძანებთ. ძალადობისკენ მოუწოდებენო ქართველ ხალხს, რომ დაგვკიჟინებთ, ძალადობაა მამულის დაცვა? თუ დაგიჯეროთ თქვენ, დავაფასოთ ოსთა დამსახურება საქართველოს წინაშე და დავთმოთ საქართველოს ძირძველი მიწა? დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი ჩემო ბატონო, ომი უსიამოვნო მოვლენაა და უსიამოვნოა იმით, რომ ადგილი აქვს ძალადობას, აგრესიას, ხოცვასა და ყლეტას, ამიტომაც არის, რომ „ოსეთზე“ გაცილებით დიდი ქვეყნები ერიდებიან სხვათა მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გაცხადებას. ომს ყველგან მოჰყვება სისხლი, მსხვერპლი, ნგრევა. ეს უსიამოვნოა. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ჩვენი მიზეზით არ დაწყებული ეს უსამართლო ომი.

ბატონი რევაზ სადუნიშვილის წერილი, კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გახლავთ დემაგოგიისა და ფალსიფიკაციის ბრწყინვალე, თითქმის კომუნისტური სრულქმნილების ნიმუში. მარტო ეს რად ღირს: „საკუთარი ინტელიგენციის წინააღმდეგ წარმოებული ომი საქართველოში კვლავ გრძელდება“ (მიაქციეთ ყურადღება, სამაჩაბლოში „კრიზისია“, საქართველოში „ომი“ ინტელიგენციის წინააღმდეგ), რის დასტურადაც მოჰყავს აწ განსვენებულ მერაბ მამარდაშვილის „დამცირებული, შეურწყლოებული და შეურაცხყოფილი“ ცხოვრება. ბატონი მერაბ მამარდაშვილის შემოქმედების ესოდენ დიდ დამფასებელს ალბათ ახსოვს, რომ ბატონმა მერაბმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი რუსეთში გაატარა. ამდენად ეს ქვეყანა თუ მეტად არა, საქართველოს დარად ახლობელი და მშობლური გახლდათ მისთვის. ასე რომ, ამდენ დევნა-შევიწროებას უმადური საქართველოს მხრივ, იგი მეორე სამშობლოში დაბრუნებას ამჯობინებდა, ხოლო ის, რომ ბატონი მერაბის პოლიტიკურ მრწამსს საქართველო არ იზიარებდა და არ იზიარებს, დევნა-შევიწროება არ ჰქვია. რაც შეეხება იმას, რომ საქართველომ პოლიტიკურ ლიდერად სხვა პიროვნება სცნო, გვგონია, ეს არ უნდა გამხდარიყო მიზეზი იმისა, რომ, დემოკრატიის დიდ ქომაგსა და დამფასებელს სამშობლოზე გული აცრუებოდა. ხოლო თქვენ ბატონო რევაზ, სიტყვების („დევნა“, „შევიწროება“, „დამცირება“, „შეურაცხყოფილი ცხოვრება“) მნიშვნელობა არ იცით, სამწუხაროდ.

მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ბატონი პედაგოგის მსჯელობა ეიოლოგიურ საკითხებზე. ერთ შემთხვევაში ღვთისმოსავობა (როდესაც ლაპარაკია დავით ამღაშენებელზე) ქვეყნის სიმტკიცისა და სიძლიერის განმაპირობებელი ფაქტორია, ხოლო მეორე შემთხვევაში (დღევანდელ საქართველოსთან მიმართებაში), საშიშ, შემაშფოთებელ ელფერს იძენს. სხვა ერების მიმართ ესოდენ ლოიალური ჩვენი ავტორი, არც ერთ შესაძლებლობას არ ტოვებს ქართველთა დამცირებისა და გაბაიბურების მიზნით. მისი აზრით, მრევლის მატება საქართველოს ეკლესიებში „პროვინციალიზმისა და ბრბოს ფსიქიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა“. ეტყობა, ავტორი ათეისტია და ფარული შიში დაუფლებია, ვაი თუ, ამის გამო ეშაფოტზე ამყვანონო. გვინდა დავამშვიდოთ პატივცემული პედაგოგი, — ღვთისმოყვარე და მორწმუნე ერი ბევრად ნაკლებ ბოროტებას ჩაიდენს, ვიდრე ეს ათეისტს წარმოუდგენია.

როგორც დავინახეთ „მწარე სიმართლის“ მთქმელ ავტორს, სიმართლის ძიება არ განუზრახავს, მას სხვა მიზანი აქვს და გასაგებია რაც, მაგრამ ერთი ჭეშმარიტება კი გაჰპარვია, კერძოდ: „მომავალი თაობა მაინც დავინდოთ, რადგან მათი სული სარკეა და ამ სარკეში არეკლილი სიმახინჯე, ასევე ჩვენ დაგვიბრუნდება, საქართველოს დაუბრუნდება!“ — აკი დაგვიბრუნდა კიდეც ბატონო რევაზ, თქვენი და თქვენი თანამოკალმეების, თანამოაზრეების სახით. ოღესღაც თქვენც იყავით მომავალი თაობა, და იმჟამინდელმა სიმახინჯემ თავისი ანარეკლი დატოვა თქვენს აზროვნებაზე — სადაც სამწუხაროდ, ისევ სჭარბობს ორმაგი მორალი და სტანდარტის არსებობით დაქვემდებარებული სტერეოტიპები.

დაბოლოს, ორიოდ სიტყვა რედაქციას, რომელიც ამგვარ პუბლიკაციებს ბეჭდავს, გულწრფელად მინდა გკითხოთ, რატომ გადაარქვით თქვენს გაზეთს სახელი? რატომ აყალბებთ თქვენს ნამდვილ მრწამსს? „ახალგაზრდა კომუნისტი“ სწორედ რომ ასეთ წერილებს უნდა აქვეყნებდეს, ჩვენის აზრით, ეს იქნებოდა ბევრად უფრო პატიოსანი და ღირსეული პოზიცია.

გაზეთი, რომელიც თუნდაც „თვალსაზრისის“ რუბრიკით აქვეყნებს წერილს, სადაც ყველა პოსტულატი საკუთარი ერის სასიცოცხლო ინტერესების, მისი ღირსების ხელყოფაზეა დაფუძნებული, თავისი სულისკვეთებით კვლავ კომუნისტური იდეოლოგიის აღდგენას ემსახურება, ამაზეა ნათქვამი— „მოკვდა და თავის ანდერძით, კვლავ ისევ საქმობს მკვდარიო“.

თამარ გულბანი

ვაი მწერალთა უკეთურებისათა...

რევაზ სადუნიშვილის თვალსაზრისის გამო

ის, რაც ხსენებულმა ავტორმა, მარნეულელმა მასწავლებელმა „ახალგაზრდა ივერიელში“ 5 ნოემბერს „თვალსაზრისის“ ნიღბით გამოაქვეყნა, იუდას ამბორია და არა თვალსაზრისი. თავს არ დავიმცირებთ ამ მორიგი ანტიქართული გამოხდომის სერიოზული ანალიზით, ვიტყვით მხოლოდ, რომ დღევანდელი დღეს, ამგვარი, პოლიტიკური პოზიცია ყველა ქართველი მამულიშვილისთვის სრულიად მიუღებელი იქნება.

იცის თუ არა სადუნიშვილმა რა ხდება სამაჩაბლოში? 70 წლის მოხუცი თავის კარზე მიაბეს, ბენზინი გადაასხეს და შორიახლო დაბმულ მეუღლეს აყურებინეს როგორ იწვოდა მისი ცხოვრების თანამგზავრი; ასე გაუსწორდნენ გიორგი ნადირაძეს. ნაწამებ ვასილ სადღობელაშვილს ოსმა მკვლელებმა უბრძანეს: დაიჩოქე და ჩვენს დროშას ეამბორეო (რა დროშაა ეს?). უარი რომ მიიღეს, შუბლზე კარაბინი მიაბჯინეს და ტყვია ახალეს. სოფელ დისევს ვანდალთა ურდო შესია, შეინიღბულ რუს „მომრიგებელთა“ უცერემონიო მონაწილეობით დაცხრილეს სახლები, დაწვეს მოსავალი, ტყვია დაადევწეს გაქცეულ მშვიდობიან მოსახლეობას... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ოსმა დედაკაცმა ნატყვიარ ფეხში ბაწარი გაუყარა ქართველ კაცს, დაჭრილი, სულის ამოხდომამდე ცხენით ათრიეს. რამდენიმე ქართველი გზაში დაიჭირეს, აწამეს, ხეზე მიაბეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს... მემატიანე ვერ აღრიცხავს, რამდენი ასეთი ამაზრზენი ამბავი ხდება სამაჩაბლოში, ჩვენ კი, გულუბრყვილო ქართველები, ამ ფაქტებსაც ვერ ვიყენებთ ისე, როგორც ოსი ბანდიტები იყენებენ სიცრუეს... ჯავშანტრანსპორტიორები გუგუნებენ ქსნის საერისთავოს სოფლებში, ცხრილავენ, წვავენ, საკუთარი მიწიდან აძევებენ ქართველებს, ცეცხლს უკიდებენ სკოლებს, ანგრევენ ეკლესიებს, ძარცვავენ, — ნაძარცვნაგაგარს ჭურდები ვლადიკავკაზსა და მოსკოვში ყიდიან. ეს ძარცვა-აკლება გრძელდება ვახტანგ გორგასალის და გიორგი ბრწყინვალის ჟამიდან...

ვაი მწერალთა უკეთურებისათა...

რევაზ სადუნიშვილის თვალსაზრისის გამო

არა, ასეთ „სადუნიშვილებს“ თუ სადუკეველებს სხვა რამ აინტერესებთ. ეს მზაკვრულ მანიპულაციებში დახელოვნებული ადამიანები, განგებ აყალბებენ ფაქტებს მტრის სასარგებლოდ და ისევ ქართველებს უქადაგებენ და ასწავლიან: „გავთავისუფლდეთ სირაქლემას კომპლექსისაგან, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს, გამოვფხიზლდეთო...“

ჩემი შენ გითხარიო, ხალხს უთქვამს. ბ-ნო რევაზ, სწორედ თქვენ ჩაგირგავთ თავი ქვიშაში და არ უწყით, რა ხდება ქვეყნად, ვინ არის დამნაშავე და ვის რა მოვკითხოთ! ქართველი რომ ქართველს ერჩის, ერი რომ ორ ბანაკად გაყოფილა და ბიბლიური ტომებივით ხოცავენ ერთმეორეს, ეს, ცხადია, ეროვნული უბედურებაა, მაგრამ მისი მთავარი მიზეზი ისევ გარეშე მტრის მოძალებაა და თუნდაც ბევრი სხვა ფაქტორიც იყოს, განა ჭრილობაში შანთით ფათური ერთგული კაცის საკადრისია?

საქმე მარტო ოსებს არ ეხება. სადუნიშვილი შეწირულ მოწამეებად აცხადებს თვით ქართველ, შეურიგებელ ოპოზიციონერებს, განდრეკილებს, ორგულებს, რომელთაც მტრის ბანაკში გადაინაცვლეს, ცილისმწამებლურ გამოხდომებს კადრულობენ, „ვრემიას“ და „სვობოდას“ ლაქიებად ქცეულა და საქართველოს თავისუფლების ხელყოფას ცდილობენ. რა დაწერეს რუსულ პრესაში, ვროზნოში, რა იქადაგეს „ვრემიას“ ეკრანიდან? ნუთუ ისე გაუჭირდათ ბ-ნ ელდარ შენგელაიას და ქ-ნ ლანა ღოღობერიძეს (რომელიც ფრანგული სუნამოს სუნით ზამავს ერის კულტურას), რომ რევაზ სადუნიშვილის მფარველობა დასჭირდათ? საცოდავია ის, ვისაც სულელი იცავსო, ნათქვამია. როგორ ვაკადრო, იქნებ სულაც არაა სულელი ბ-ნი სადუნიშვილი, მაგრამ სულელივით კი მსჯელობს და თუ გაკვეთილებზეც ამასვე ქადაგებს, მეცოდებიან მისი მოწაფეები.

ვფიქრობ, არც განსვენებული მამარდაშვილი დარჩებოდა აღტაცებული ასეთი არამკითხე ვექილის დაცვით. „მსოფლიო ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელს“ არავინ ებრძოდა, მხოლოდ ეკამათებოდნენ, რაც, არც ერთ დროს და არც ერთ ქვეყანაში, საძრახისი არა ყოფილა. ლიტერატურული თუ პუბლიცისტური პაექრობისთვის თქვენს გარდა შეუწყნარებლობა არავის დაურქმევია. ბატონი მერაბი თავის ერს, რუსთაველის და ილიას ერს, პეტრიწისა და ვაჟა-ფშაველას ერს უკულტუროს და ბარბაროსულს უწოდებდა. მთავარი — პრინციპია და არა დეტალები. ქართველებს „ბედნიერი ერის“ ავტორიც კიცხავდა, მაგრამ სხვა გაგებით; ერმა იცოდა, „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“, ხოლო „თვალსაზრისის“ ავტორი კი, შეპარვით ბოროტად, მოყვასის ნიღბით გვმოძღვრავს. მართლა სულელი იქნება ერი, რომელიც ამას ვერ გაარჩევს, ცოდვა-ბრალის სასწორზე ვერ დადებს და თავის ადგილს ვერ მიუჩენს.

განა სასაცილო არ არის სადუნიშვილის „თვალსაზრისი“ ოსთა როლზე საქართველოს ისტორიაში? ისინი ჩვენს მიწაზე ჩამოსახლდნენ, ცხოვრობდნენ, ვუმასპინძლეთ და დიახაც, რომ ეკალებოდათ მტერთან ბრძოლაში ჩვენი დროშის ქვეშ დგომა, მაგრამ განა ეს ისე ხშირად ხდებოდა, როგორც ბ-ნ რევაზს წარმოუდგენია? თითქოს მათ ეხსნათ თბილისი და ლამის მთელი ერი! რატომ ივიწყებს „თვალსაზრისის“ ავტორი, უყურმოკრული ეპიზოდების კომენტატორი, უფრო სარწმუნო ფაქტებს: რომ მონღოლთა ნოინებს უყურმოჭრილი ყმები—ოსები ჟანდარმებად ჰყავდათ და მონღოლებზე მეტი სისასტიკით მუსრავდნენ ქართველებს?; რომ დღესაც გამუდმებით ძარცვავენ და წვავენ ქართულ სოფლებს; რომ არ სურთ არავითარი მოლაპარაკება, ტყვია და ცეცხლია მათი პასუხი; რომ „ჩრდილოეთ ოსეთთან“ შეერთებას ითხოვენ და მიუხედავად იმისა, რომ პუტჩის დღეებში აშკარად იანაევს დაუჭირეს მხარი, დღეს ზედიზედ უგზავნიან წერილებს ელცინსა და სტაროვოიტოვას, გვიშველეთო, ქართველები გვხოცავენო და ა. შ.! კი არ ივიწყებს, ღვარძლი უტრიალებს გულს და ისევ სამტრო საქმისკენ გაურბის თვლი, მაგრამ ღმერთი ჩვენთანაა, იქნებ ისევ გვიხსნას და ყორანთა დასაყივარად არ გაგვიხადოს საქმე!

ფრანგები იტყვიან: ყველაზე ცუდი ყრუ ისაა, ვისაც არ სურს გაგონება. თქვენი მსჯელობა ქართველთა „დაბალ ინტელექტუალურ დონეზე“, „ინტელიგენციის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომზე“ და ა. შ. მორიგი დემაგოგიური მალაყია, თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის სიყვარული გამოძრავებთ; და არა საქართველოს ბედი, სხვაგვარად რომ იყოს, მეტი შემწყნარებლობა გექნებოდათ საკუთარი ერის მიმართ. დიახაც, მტერს მტრულად დავხვდებით, მოყვარეს მოყვრულად. ხალხს, რომელიც ჩვენს წინაპართა სისხლით მორწყულ მიწას გვედავება, მოყვარედ ვერც ერთი ინტელიგენტი ვერ მოგვაჩვენებს. ასეთია ჩვენი თვალსაზრისი, და მას ვერავითარი არგუმენტებით ვერ დაანგრევთ, რამეთუ კლდეა მისი საძირკველი და არა ქვიშა.

მოყვასის სიყვარული და ჰუმანურობა (განსაკუთრებით უცხო თესლის მიმართ!) ქართველ ხალხს არავისგან ესწავლება. მაგრამ ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველს თქმა უნდა? ხომ უნდა ვიცოდეთ, როდის რისი თქმა შეიძლება, რა დროს რა გვჭირდება! ან ის თუ მოგეხსენებათ, რომ არსებითად იმავე „თბილისის დამხსნელ“ ოსეექსტრემისტებს, ნებით თუ უნებლიედ, ჩვენივე, შეურიგებელი შინაური თუ გარეშე, მტრები აქეზებენ და უმაგრებენ ზურგს. შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი ქართველები შუადგულ თბილისში, ზარბაზნს ისვრიან, ავტომატებს აკაკანებენ და ამას დემოკრატიისათვის ბრძოლად ასაღებენ. თქვენ კი, ამ დროს ყურადღება გადაგაქვთ ქართველი ხალხის „სიბრმავისა“ და ფანატიზმზე და ყოველივეს ისე წარმოაჩენთ, თითქოს ეროვნულმა სისასტიკემ მიგვიყვანა სამაჩაბლოში სიტუაციის გართულებამდე და არა კარგად ორგანიზებულმა ომმა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ჩვენ ორმოცი, სამოცდაათი, ორასი წლის განმავლობაში დავეხეტებოდით უდაბნოებში და ძლივს მივადექით აღთქმული ქვეყნის ზღურბლს, — ისიც ცნობილია, ვინ მოგვიძღოდა ამ გზაზე ბოლო ათეულ წლებში. თქვენ კი, სხვა განდრეკილებივით გვინაღმავთ ამ გზას, თესავთ შუღლსა და ურწმუნოებას. აი, ასეთი გახლავთ მწარე სიმართლე! გვაცალეთ, იქნებ გავიდეთ ამ ბეწვის ხიდზე და მერე იდავეთ, ჩააღწიეთ ჩვენი ეროვნული ხასიათის სიღრმეებში, ამხილეთ ულირსნი. დღეს ჩვენ ერთსულოვნება გვჭირდება სიტყვით და საქმით, თქვენ კი, უარყოფთ სიკეთეს, საკუთარ ერს და ვერც იმას ეხმარებით მაინცდამაინც ვისაც მოყვრობთ, ვის დაცვასაც ლამობთ ავრე რიგ. ესაა მწარე სიმართლე. სწორედ ამაზე ქადაგებდა ესაია წინასწარმეტყველი: „ვაი მწერალთა უკეთურებისათა, რამეთუ უკეთურებასა წერენ და გამოაქვთ სასტიკი განაჩენები!“ აი, ესაა მთავარი, თორემ სხვა რა მაქვს სადავო, ჩემო განსწავლულო მასწავლებელო!

აკაკი გელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრის გამგე, ბატონი ნუგზარ ალექსიძე.

„ჩვენი ვალია ვიდგეთ იქ, სადაც ქართველი ერის უდიდესი ნაწილია“

— ბატონო ნუგზარ, როგორ აფასებთ დღევანდელ სიტუაციას, ამასთან, როგორია თქვენი აზრი როგორც „ოპოზიციის“, ისე ხელისუფლების მოღვაწეობის შესახებ?

— ორი აზრი არაა, რომ მდგომარეობა მეტად მძიმეა. ისიც ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს დღეს მართავს ქართველი ერის, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდეს ნაწილის მიერ არჩეული ხელისუფლება და პრეზიდენტი. თითოეული ჩვეთაგანი უნდა გამოვიდეს რეალური სიტუაციიდან, პაიტვი უნდა ეცეთ მოსახლეობის უდიდეს ნაწილის ნებას; საღად და მეუკერძოებლად, ყოველგვარი ემოციებისა და პირადი ანგარიშსწორების გარეშე უნდა შეავფასოთ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ნამოღვაწარი.

პირდაპირ გეტყვით, რომ „ოპოზიცია“, რომელიც ხელისუფლებას უპირისპირდება ირაღით და მოითხოვს პრეზიდენტის გადადგომას, ხელს უწყობს ვითარების დესტაბილიზაციას, არ შეიძლება ვაღიაროთ ნამდვილ ოპოზიციად, ამ სიტყვის ცივილიზებული გაგებით. ოპოზიცია მაშინ არის ოპოზიცია (მის საჭიროებას არავინ უარჰყოფს), როცა კონსტრუქციული დიალოგის გზით ხელს უწყობს ხელისუფლების საქმიანობასა და ქვეყნის წინსვლას.

რაც შეეხება პრეზიდენტს, მიმაჩნია, რომ იგი მეტისმეტად ლიბერალურია. სავსებით სწორი იყო მისი რეაქცია მოსკოვის პუტჩზე (უსამართლოა ყველა ის ბრალდება, რომელსაც მას უყენებენ), მისი დამოკიდებულება ჩეჩნეთ-ინგუშეთში მიმდინარე პროცესებისადმი, მისი ურყევი პოზიცია ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ თაობაზე, მისი განცხადება იმის შესახებ, რომ, სანამ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ აღიარებენ, ეკონომიკურ ხელშეკრულებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. არავინ უარყოფს რუსეთთან და ნებისმიერ სხვა რესპუბლიკასთან ეკონომიკური კავშირის აუცილებლობას, მაგრამ, გაუგებარია, რა საჭიროა მესამე ძალის, ანუ ცენტრის შუამავლობა. მყარი პოლიტიკური გარანტიების გარეშე, რაიმე ნაბიჯის გადადგმა მეტად სახიფათოა. ამის დიდი გამოცდილება გაგვაჩნია, ბევრჯერ ვიწვნიეთ „ველიკოდერჟავული“ ძალის სიმუხტლე.

— ამ ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმაა ინტელიგენციის, მისი პოზიციის, მცნება „ინტელიგენტი“-ს გარშემო. საქართველოში მოქმედი „ოპოზიციის“ მხარდამჭერ ინტელიგენციას აშკარად აქვს გამორჩეულობის პრეტენზია, აცხადებს რა თავს „ნაღებად“ ამ სახელწოდების მატარებელი ხალხისა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

— პირველყოვლისა მოგახსენებთ, რომ ვერასგზით ვერ მივიჩნევ ინტელიგენტად ადამიანს, რომელიც თავის პოლიტიკურ მრწამსს იარაღით იცავს. ინტელიგენტი არასოდეს აცხადებს საქვეყნოდ, რომ ის ინტელიგენტია.

შვიდი ათეული წლის მანძილზე, ქართველი ერის ინტელექტუალური პოტენციალი არტახებში მოაქციეს, მიიტაცეს. შედეგად მივიღეთ ე. წ. „საბჭოთა ინტელიგენცია“. რომლის დიდი ნაწილი უღირსი აღმოჩნდა, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულებით ძლიერი პოზიციები მოიპოვა საზოგადოებაში. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის უდავოდ ბევრი ღირსეული და დამსახურებული პიროვნებაცაა, აი, სწორედ ეს ნაწილი დღემდე ჩრდილში იყო, უზმოდ აკეთებდა თავის საქმეს, ხმამაღლა ვერ გამოთქვამდა აზრს, ადრე კომუნისტური პარტიის რიგებში ყოფნის გამო, თუმცა არასდროს ყოფილა მრწამსით კომუნისტი. სწორედ ისეთი მიმართვები, რომელიც თქვენ ახსენეთ, აძლევს ინტელიგენციის ამ დიდ და საღად მოაზროვნე ნაწილს საშუალებას, თავისი ქეშმარიტი მოქალაქეობრივი მრწამსი და პოზიცია გამოამჟღავნოს.

— ბატონო ნუგზარ, როგორ აფასებთ ლოზუნგს „ჯერ დემოკრატია, მერე თავისუფლება“?

— აბსურდული ლოზუნგია. სიმართლე რომ გითხრათ, ზოგჯერ ღიმილსაც კი მგვრის. რომელ დემოკრატიაზე შეიძლება მსჯელობა მაშინ, როდესაც ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში ვართ, როდესაც ჯერ გაგვაჩნია დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა?! თუ ვინმეს სჯერა, რომ ჩვენ უკვე დამოუკიდებლები ვართ და ახლა დემოკრატიის დამკვიდრებაზე უნდა ვიზრუნოთ, იგი, რბილად რომ ვთქვათ, — აშკარად ცდება. რეალური ბრძოლა ახლა იწყება. მოდით, ყველანი დავფიქრდეთ, რას მოგვიტანს დღეს, საომარ მდგომარეობაში, დემოკრატიისათვის ბრძოლა.

მაშინ, როდესაც მთელ ერს, მთელ სახელმწიფოს აქვს ერთი დიდი, უპირველესი მიზანი, უნდა შეგვეძლოს ამ მიზნის მიღწევის ეკლიან გზაზე დავთმოთ ბევრი რამ. წინააღმდეგ შემთხვევაში წავაგებთ, დავკარგავთ ყველაზე მთავარს — დამოუკიდებლობას, რომელსაც ასე მივეუახლოვდით.

— მოგეხსენებათ, საბჭოთა ტელევიზიით გამოვიდა ბატონი ზვიად გამსახურდია. ბევრი თვლის, რომ ეს გამარჯვებაა, იმპერიული ძალების გარკვეულ დათმობაზე წახვლა და ერთგვარად ჩვენდამი დამოკიდებულების შეცვლა. სხვანი კი აღნიშნავენ, რომ ოპონენტთა პირველ პროვოკაციულ კითხვაზე პრეზიდენტის ბრწყინვალე პასუხმა აიძულა იხინი სხვაგვარად წარემართათ საუბარი. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მოგახსენებთ. ჯერ ერთი, მე ვიტყოდი, რომ ეს გახლდათ არა მარტო ბატონ ზვიად გამსახურდიას, არამედ ჩვენი საერთო გამარჯვება. მსიამოვნებს და მეამაყება, რომ ასეთი პრეზიდენტი გვყავს. მან შესანიშნავად გამოიყენა ოპონენტთა პირველი, მართლაც პროვოკაციული შეკითხვა, საუბრის მათეული გეგმით წარმართვას გზა მოუკრა. ამ პირველ, ბრწყინვალე პასუხს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. იმპერიული ძალების და ტელეხიდის მონაწილე ოპონენტთა წინაშე ბატონი ზვიადი წარსდგა, როგორც ღრმად მოაზროვნე, უაღრესად განსწავლული პოლიტიკოსი.

— ბატონო ნუგზარ, როგორ ფიქრობთ, აქვს „ოპოზიციას“ პრესისა და სიტყვის თავისუფლება? ვგულისხმობ როგორც ტელევიზიას, ისე პერიოდულ პრესას.

— რაც შეეხება ტელევიზიას, უნდა გითხრათ, რომ გაუმართლელად ვთვლი უზენესი საბჭოს სესიების ყოველი სხდომის პირდაპირ ტრანსლაციას, რასაც ესოდენ დაჟინებით მოითხოვენ ოპოზიციონერები. სხვა საქმეა, როდესაც სესია იხილავს უმნიშვნელოვანეს საკითხს. ასეთი გახლდათ, მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღება, მოქალაქეობის შესახებ საკითხის განხილვა და ა. შ. საერთოდ, საზოგადოება მეტისმეტად პოლიტიზირებულია, რასაც ბევრი უარყოფითი შედეგი მოსდევს.

ბოლოს და ბოლოს უნდა გამოვიდეს ტელევიზიის ეს უთავბოლო პოლიტიზაცია. ოპოზიციის ინტერესებს ემსახურება ოფიციალურად გამომავალი არერთი გაზეთი, რაც საშუალებას აძლევს სრულად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

— დაბოლოს, ბატონო ნუგზარ, რას უსურვებდით საქართველოს და როგორ გესახებათ ვითარების ნორმალიზაციის გზები?

— პირველყოვლისა, უნდა მოხდეს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღება, რაც შეიძლება მშვიდობიანი ხერხებით, მოლაპარაკების გზით. ფაქტია, რომ სწორედ ამ ფორმირებათა მოქმედების ფონზე დღეს გაიზარდა დანაშავეობა. აუცილებელია კორუფციასთან დაუნდობელი ბრძოლა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, ეკონომიკური ბერკეტების: სავაჭრო და სამრეწველო სფეროებში პრივატიზაციის საშუალებით, რაც საბოლოო ჯამში ბოლოს მოუღებს კორუფციას. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს უნდა მოხდეს სათანადო კონტროლის ქვეშ, კონსტიტუციური ნორმების დაცვით. დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის პრივატიზაციას. ამ უბანზე კი ნამდვილად არ გვარგებს აჩქარება. ეს პრობლემა მუდმივად დაკავშირებული მოსალოდნელ უმუშევრობასთან. არ უნდა მოხდეს ისე, რომ უმუშევართა დიდი ნაწილი საარსებო წყაროს გარეშე დარჩეს. ამასთან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საგლეხო მეურნეობათა შემდგომ გაფართოებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გლეხობის სოფლად დასაქმებას.

ესაუბრა ლევან ერუშაძე

ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიიდან

ილია ჭავჭავაძე

(ნაწყვეტები)

ეროვნება უაღრესად რთული სხეულია, რთული მოვლენა, და როგორც ასეთი მრავალფეროვანი, განლაგებული სხვა და სხვა ფენებში. ეროვნული სხეული, არის იგი იურიდიული პიროვნება, ე. ი. სახელმწიფო, თუ ამ იურიდიულ პიროვნებას დროებით მოკლებული, ეს სულერთია, იგი არასოდეს თავის თავს არ უნდა დასცილდეს, თავის ნიადაგიდან არ უნდა მოსწყდეს, თავის ციხე სიმაგრიდან არ უნდა ამოვარდეს. რა აუცილებელი წინასწარი პირობაა საჭირო ამისათვის, რომ ყველაზე მძიმე პირობებშიც კი ერმა თავი გადაირჩინოს? აი ამოცანა, ამოცანა პირველხარისხოვანი და ძირითადი მნიშვნელობის, ილია იძლევა ამ ამოცანის პირდაპირ გენიალურ გადაჭრას. სიტყვა გენიალობას ამ შემთხვევაში ვხმარობ მთელი მისი სიმძიმით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, **ეს არის ერთობა — საერთო ნიადაგი, ის ადგილი, სადაც ეროვნული სხეულის ყველა გზები ერთად იყრება საერთო ეროვნული კეთილდღეობისათვის:** როცა თვითეული ყველასათვის ზრუნავს და ყველა თვითეულისათვის, როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“, პიროვნული, წოდებრივი თუ კლასობრივი საერთო ინტერესების წრიდან არ გამოდის, როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“, „ერთიანი ხალხის ცხოვრების საყეგარში ერთად არის და ერთად მოქმედებს“.

მართალია, ილიას ამ საკითხში, ერთი ვრცელი, საგანგებო ტრაქტატი არ დაუწერია, მაგრამ ამ საკითხს იგი არკვევდა მრავალ გზით. ჯერ ერთი, საგანგებო წერილში „საქართველო“, შემდეგ სხვადასხვა ადგილას თავის მოწინააღმდეგებთან კამათში, თვიურ მიმოხილვაში, ან ამა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს.

ეროვნული სხეული სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ეპოქაში დანაწილებულია, სადაც თვითეულს თავისი ერძო ინტერესები გააჩნია და არის შემთხვევები, როცა ეს ინტერესები საშინელი სიმწვავით უპირისპირდება ერთმანეთს. მაგრამ მთელი ამოცანა იმაშია, რომ ეს დაპირისპირება საბოლოო გადაშვამდე არ მივიდეს და ხიდი, რომელიც გაბზარულია თუ ჩატეხილი მათ შორის, გამთელდეს. ის ვინც ამას ვერ აღწევს, ვერ ახერხებს, იგი საკუთარი ხელით სამარეს თვითონ ითხრის, — გათავებულია, დალუპული, განწირული, „ვაი იმ ხალხს, რომელსაც სართო ძარღვი გაუწყდა: ვაი იმ ქვეყანას საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი!...“

ილია არკვევდა ეროვნული იდეოლოგიის პრობლემას განსაკუთრებულ პირობებში, როცა გადაგვარების საფრთხე უაღრესად დიდი იყო, როცა მაყრობელი რუსეთი მუმლივით ეხვეოდა „საგარეო მყუდროებაში“ ძალმომრეობით შეყვანილ, თავისუფლება წართმეულ ჩვენს ერს. მაგრამ არასოდეს იგი არ დაეკვეებულა ჩვენს მომავალში. მან შექმნა ჯანსაღი თეორია ეროვნული იდეოლოგიის საფუძვლებისათვის, მიაგნო იმ ნიადაგს, საიდანაც შესაძლებელი იყო ყველა იმ სიძნელეების დაძლევა ერის ცხოვრებას, ისტორიის გრძელ და დაუსრულებელ მანძილზე, წინ რომ ეღობება.

„წარსული — მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ — წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია“ — „ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულ ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც ჩვენი აწმყო დამყარებული, დაფუძნებული, გამაგრებულია. ეს მაგარი ქვა, ერის ცხობიერი ცხოვრების, მისი შემოქმედების ნაყოფია. იგი ყალიბდება მააშინ, როცა ეროვნულ ერთობაში თვითეული ყველასათვის ზრუნავს და ყველა თვითეულისათვის, როცა კერძო ინტერესები დაქვემდებარებულია საერთო ეროვნულ ინტერესებზე, როცა ერთი ყველაშია განსახიერებული და ყველა ერთში. ეროვნული სხეული იმისათვის კი არ ადის აღმავალი გზით, რომ მოკვდეს, დაიღუპოს, სამუდამო დაიმარხოს, არამედ იმისათვის რო აღმავალი ხაზის დაქანების შემდეგ „თავისსაგან მოიყვანოს ნაყოფიერ თესლზედ“ ახალი გზა, მონახოს და განახლებულ ძალით ახალ აღმავალ ხაზს შეუდგეს.

აქ მოცემულია ეროვნული იდეოლოგიის, მარადიული თეორიის თავისებური დასაბუთება, ყველა განზომით, მთელი თავისი სიღრმით. ეს დასაბუთება ძირითადად ეწინააღმდეგება და უარყოფს, მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთში თუ რუსეთში, შემუშავებულ თეორიებს, ამ საკითხის შესახებ, როგორიც იყო კლასთა ბრძოლის თეორია, კოსმოპოლიტურ სიბრიყვემდე მისული; ანდა ისტორიული კაპიტალიზმის თეორია (დასავლეთში— ლეიბნინი, რუსეთში — ლეონტიევი). ამ თეორიის თანახმად: ეროვნული სხეულის განვითარება, ამ სხეულის დაშლითა და დარღვევით უნდა დასრულდეს. სხვა გზა მას არ გააჩნია.

რუსი მწერალი ლეონტიევი, ისე შორს წავიდა ამ თეორიის გაღრმავების დროს, რომ მე-19 საუკუნის განვითარების დასკვნად მსოფლიო ხანძარის მოვარდნის აუცილებლობა აღიარა, სადაც რუსეთიც და ევროპაც ორივე უნდა დაღუპულიყო. (?!).

ჩვენ არ ვიცით რა დაემართება რუსეთს; ამ წყალმაკიან ომპერიას, სად დარ ანაირ გზაზე მიაბრუნებს ისტორია, ხოლო ევროპა დალუპვა ძნელი დასაჯერებელია.

აზროვნების ყოველნაირი მიმართულება, რომელიც იბადება და დასაბუთება ეძლევა ამა თუ იმ ქვეყანაში, საინტერესოა იმიტომ კი არა უთუოდ მას ჩაებღაუჯო, ზურგზე მოიკიდო და შენს საკუთარ სახლში მოათრიო, არამედ იმიტომ, რომ ამ ერის დონესა და სატკივარს გაეცნო.

ყველა თეორიები და სისტემები აზროვნების სფეროში, ამ ერის კულტურისა და ცივილიზაციის შინაარსსა და ხარისხს გამოხატავენ; მისი გადაარჩენის პრობლემა არაჩვეულებრივად სახიფათოა და ძნელი. გარდა ამისა ისინი არავითარ საჭიროებას და აუცილებლობას არ წარმოადგენენ, რადგან ეს თეორიები, თითქმის ყოველთვის, უნიადაგო და საეჭვო არიან როცა გადაგვქვს, და ეს ეხება განსაკუთრებით სოციალ-პოლიტიკურ სისტემას. შეიძლება თეორიები, იქ სადაც ისინი დაბადენ არ იყვნენ საეჭვო და უნიადაგო, თავის დროისათვის შეიძლება ნიადაგი ჰქონოდათ და აზრიც, თუ ხანგრძლივი არა დროებითი მაინც, ამათთვის ვისიც პირმშო ისინი არიან.

იდეების შემოტანას, განსაკუთრებით, არ საჭიროებს ის ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ეროვნული ტრადიციები და კულტურა გააჩნია. ის მიდის თავის გზით, იშვიათად სესხულობს რაიმეს და თუ ისესხა, ისე გარდაქმნის ამ ნასესხებს თავის ეროვნულ ქურაში, რომ მისი პირვანდელი დედანიდან არსებითად განსხვავებული იქნება.

ილია ჭავჭავაძის აზროვნების შესწავლიდან, ერთი რამ უდავოდ ირკვევა: საქართველო მოდის თავის გზით. მისი ეროვნული იდეოლოგიის ფილოსოფია თავისებურია და ძირითადად განსხვავებული იმისაგან, რასაც დასავლეთში აყალიბებდნენ, ან რასაც დასავლეთზე დაყრდნობით რუსეთი ცოდეილობდა.

ისიდორე მანწკავა
ბერლინი, 1944 წ.

დასასრული.
დასაწყისი იხ. № 47, 48

„როგორ ყიოდა ხოხობი“

ანუ

პასუხი წერილზე „როგორ ყიოდა ხოხობი“

ბაზუი „ოფიციალური საქართველოს“ მიმდინარე წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბატონ ზ. ბეთიაშვილის წერილი სფსსაოფი ნაციონალური „როგორ ყიოდა ხოხობი“, რომელიც არც ობიექტური რობით, არც ეიმპეტენტურობით და არც ეთიკურ-ნორმატიულობით არ გამორჩეული. ეს გენლაინი პასკვილი ავგეტელა მოკრძალო ამბაზზე და ეჩრდილებს ფერხეულელ ზეკმეფ-ზეკმეფელი ფიქტების კონკლიმარეზე, რომელიც გამიზნულია ამხილოდ, რომ ჩიჩრ ბოლოდ და სამელი ეკოფაქტის ოფიციალურ, ობიექტურ ეფოფაქტებზე, როკი ეს ეფოფაქტები ეფუნ ე. ფ. „სალიცენზიო ნალინობა“, როკი პროფელეკტორ ბორეს ფიფიფ ეფოფ ეს ლოცენზიეფი და მიფელ სეზონის ანმინერეზ განუთხოვენ ეკუიტენენ ეფოფეკეზს. რა ფეზა ეფლ, ცხოველია სამყარის ფეზერეზ ბარეკი ეზონ ანია გამპარობეფელ, ობიექტენი ეფაკოფიფთ როკი ფარსელეს ისეთს ფეკტორებზე, როგორიცაა: ანალო ბეზენს ალიეფეს სამპანიი ტკეკ-ბოჭნარნის ხელილეფი ამოძარკეკ, ფეკრ ტბენი და ჯიბებეს ამოშრნის, სანალინო სიგარეტებზე შინაარსი პიროტკეფს ეს ფინალი ბოლოდ ანალეფ ფეკტორ ეფოფ ეფ ეფ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცხადება

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ДЕЛАМ ИЗДАТЕЛЬСТВ, ПОЛИГРАФИИ И КНИЖНОЙ ТОРГОВЛИ

გამომცემლობა „ნაკადული“
თბილისი 380060
მშვიდობის პროსპექტი № 28
ტელეფონი 38-69-12

ИЗДАТЕЛЬСТВО „НАКАДУЛИ“
Тбилиси 380060
Проспект Мира № 28
телефон 38-69-12

«1» ნოემბერი 1989 წ.г. № 245

გამომცემლობა "ნაკადულის" მუშაკებმ მხარს ვუჭერთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნულ პარლამენტს და ვუერთდებით ქართველი ინტელიგენციის ნებას, გამოთქმულს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 18 ოქტომბრის ნომერში დასტამბულ წერილში "პროტესტს ვაცხადებთ!" სავსებით ვეთანხმებით ამ წერილს და ჩვენს თანხმობას ხელმოწერებით გამოვხატავთ:



მადლობა ერის ერთიანობის დამცველთ,

გაზეთ „საქართველოში“ (№ 24, 12 ნოემბერი, 1991 წ.), რუბრიკით — „ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად... ფაქტი უკომენტაროდ“, გადმობეჭდილია ჩხოროწყუს რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „კვალის“ 1991 წ. 18 ოქტომბრის პუბლიკაცია — „გამოიჩინეს განსაკუთრებული აქტიურობა“, რომელშიც ვკითხულობთ: „19 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე მძიმე დღეები დაუდგა საქართველოს. ძმა ძმას გადაემტერა, მეგობარი—მეგობარს, ქართველმა ქართველის წინააღმდეგ აღმართა იარაღი. პუტჩისტების მხრიდან იყო მცდელობა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის დამხობისა. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწოდებისთანავე **მთელი საქართველო** (ხაზგასმა ჩვენია, — ჭ. ტ.) დაიძრა დედაქალაქისაკენ კანონიერი ხელისუფლების დასაცავად. გამონაკლისი არც ჩვენი რაიონი იყო“. შემდეგ წერილში მოხსენიებულნი არიან ჩხოროწყუს ის მკვიდრნი, რომლებიც გაჭირვების დროს სამშობლოს გვერდში დაუდგნენ. გაზეთ „კვალის“ ეს პუბლიკაცია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „საქართველოსთვის იმ მძიმე დღეებში რაიონიდან ასობით ადამიანი გაეშურა **ერის ერთიანობისა და ხიმშვიდის დამკვიდრების** (ხაზგასმა ჩვენია, — ჭ. ტ.) სურვილით“.

ახლა მე ვეკითხები გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს, რა ამოიკითხა მან გაზეთ „კვალის“ ამ პუბლიკაციაში ისეთი, რომ მის გაზეთში იგი ირონიული რუბრიკით, „ისტორიის ფურცლებზე დასაგვირისტებლად... ფაქტი უკომენტაროდ“, დაბეჭდა? რადგან ჩვენთვის კარგად არის ცნობილი გაზეთ „საქართველოს“ პოზიცია (მისი პოზიცია იქიდანაც ჩანს, რომ გაზეთი იმავე ნომერში სიამოვნებით უთმობს პირველ გვერდს ბ-ნ რამაზ კლიმიაშვილის პასკვილს „და გავიდა მთელი წელი“), ადვილი მისახვედრია, თუ რა კომენტარს გაუკეთებდა ეს გაზეთი აღნიშნულ პუბლიკაციას. მაგრამ სხვისთვის მოქნეული მათრახი თავად გადაიტყლაშუნა გაზეთმა „საქართველომ“, თორემ ჩხოროწყუელებს, იმ გარჯის გამო, ჩვენგან მადლობის მეტი არაფერი ეთქმით. როგორც ირკვევა, „კვალის“ პუბლიკაციის ავტორს, ბ-ნ სოსო დავითაშვილს კარგად აქვს შეგნებული, რომ ჩვენს ერს ერთიანობა და სიმშვიდე სჭირდება, გაზეთ „საქართველოს“ და მის რედაქტორს კი, კუთხური აზროვნების სენი შეჰყრიათ. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი სწორედ ჩხოროწყუელთა ერთგულების დამადასტურებელი წერილი შეურჩევია და არა, ვთქვათ, თელაველებისა ან ცხინვალელებისა. ერთერთ მიტინგზე, რომელზეც მეც გახლდით, სწორედ თელავიდან ჩამოსულმა დელეგაციამ განაცხადა, ბატონო პრეზიდენტო, კახური ერთგულებით ვიდგებით თქვენს გვერდითო. იქნებ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ჰგონია, ჩხოროწყუელები მხოლოდ იმიტომ გაისარჯნენ, რომ ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდიაა, თორემ სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, უურსაც არ შეიბერტყავდნენ? არა, ბატონო რედაქტორო, ის ხალხი, სოფლებიდან რომ ჩამოვიდა თბილისში, პირველ ყოვლისა, სამშობლოს სიყვარულმა ჩამოიყვანა. ატყობთ, ბატონო რედაქტორო კუთხურობას ამ ხალხს? მაშ რატომ ცდილობთ ბოროტების თესლის გაღვივებას? საქართველოს კუთხეები ხომ, სამეგრელო იქნება ეს, კახეთი, გურია, ქართლი, აჭარა თუ აფხაზეთი, მეტად ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. რატომ უნდა ვატკინოთ გული ერთმანეთს? და მერე რისთვის? ნუთუ საქართველოს რომელიმე კუთხის შვილების მიერ სრულიად საქართველოს ინტერესებისთვის თავის გაწირვა დასაძრახია? იმ მძიმე დღეებში ხომ ყველა კუთხე ეფიცებოდა სიყვარულსა და ერთგულებას სრულიად საქართველოს პრეზიდენტს!

ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი, როგორც თავად ბრძანებს, ყოფილა ერთ-ერთი ორგანიზატორი 1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციისა, ქართული ენის სტატუსის დასაცავად რომ გაიმართა. ამ ღვაწლისათვის მადლობა ეთქმის, ახლა კი, მინდა ვკითხო ბატონ რედაქტორს, სად გაქრა მისი ის საერთო-ქართული ცნობიერება, რომელმაც კომუნისტური რეჟიმის დროს იგი ენის დამცველთა მოწინავე რიგებში ჩააყენა? ნუთუ ვერ ხვდება, რომ მსგავსი ქმედებებით ფრიად არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნის? მკითხველს, ალბათ ახსოვს, მოსკოვში „მოღვაწე ჟურნალისტმა კ. აბრამიამ სამეგრელოს გაზეთის დაარსება რომ მოინდომა, რომელსაც მეგრული კულტურის (?!) საკითხები უნდა გაეშუქებინა. სხვათა შორის, მაშინ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციაში სეპარატისტთ წერილიც მივიტანე, მაგრამ რედაქტორმა რატომღაც არ გამოაქვეყნა იგი. ჭ-ნ კლარა აბრამიას ის წამოწყება სწორედ გაზეთ „საქართველოს“ ქმედებამ გამახსენა. ძალიან საწყენია, რომ გაზეთი, რომელსაც „საქართველო“ ეწოდება, ნებსით თუ უნებლიედ, სწორედ სეპარატისტულ განწყობილებებს აღვივებს.

ჩემის მხრივ, ნება მიბოძეთ, ბოდიში მოვუხადო გაზეთ „კვალის“ პუბლიკაციის ავტორს, ბატონ სოსო დავითაშვილს და დიდი მადლობა მოვახსენო მის წერილში მოხსენიებულ პირებს ჭეშმარიტი მამულიშვილობისათვის. სამშობლო ყველას ღვაწლს კარგად ხედავს, ძვირფასო ქართველებო.

ქეთევან ტოროტაძე,
თბილისის უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეკონომია „ცარეკვით“

საოცარი რამ ხდება ყოფილ საბჭოთა იმპერიის, ყოფილ დედაქალაქში. თითქოსდა დღითიდღე მცირდება რიგების რიცხვი.

— ასე თუ გაგრძელდა, მალე „სტოლიცა“, ალბათ, დაკარგავს თავის განუმეორებელ ხიბლს—ამბობენ ზოგნი.

თუმცა, უკაცრავად, არის ადგილები, სადაც ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. ეს საპირფარეშოებია.

და კიდევ ათჯერ იმატა რიგების სიგრძემ, იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ შემორჩნენ.

რა ხდება?

უკვე თვე გადის, რაც ჩვეულებრივი მაღაზიებიდან გაქრა კარაქი, ფრინველი, ხორცი, სოსისი, ძეხვი...

თუმცა ზოგჯერ ცარიელი დახლების ირგვლივ მაინც დგებიან გაწამებული „სტოლიცელები“. დგებიან და ელიან.

ელიან, მაგრამ რას? სულ ერთია, ოღონდაც სასუსნავად ქმოდგეს.

ამაოა მათი მოლოდინი.

მაგრამ ამ უზარმაზარ ქალაქში ისეთი მაღაზიებიც არის, სადაც ყველაფერია. უმაღლესი ხარისხის ძეხვი გნებავთ? ინებეთ, ბატონო! კილოგრამი 162 მანეთი, უცხოური ფირმის არაყიც ბლომადაა, ლიტრა 200 მანეთი და უფრო მეტი... სიგარეტი? ფასს ნუ იკითხავთ!

სწდლაა რიგები.

თუმცა ასეთ უბნებშიც ჩნდება ხოლმე დრო და დრო რიგი. ეს მაშინ, როცა „პო დოგოვორნიმ ცენამ“ კილოგრამი ხორცი 54 მანეთად იყიდება. აბა რა ქნან „სტოლიცელებმა“, ამბობენ ბაზარში კილოგრამი ხორცის ფასი 100 მანეთია.

და მაინც „სტოლიცელთა“ უმრავლესობა ყოველ დილით რიგში დგას. ეს რძის რიგებია.

— ასე იყო ამ წლის დასაწყისშიც, — მეუბნება რძის რიგში ჩემს გვერდით მდგომი სიმპათიური, შუახანს გადაცილებული მამაკაცი... მაშინაც თითქმის ორი თვე ვშიმშილობდით. ეს იმიტომ, რომ პუტჩისტი პავლოვი თავის რეფორმებს ამზადებდა. მერე მაღაზიები თითქოსდა აივსო, დამშეული ადამიანები დახლებს მივარდნენ. ვილა დაგიდევდათ ამას, ფასები რომ 4-ჯერ და მეტად იყო გაზრდილი... ალბათ, ახლაც ამასვე აპირებენ...—დასძენს პაუზის შემდეგ.

მერედა გაუძლებთ ამდენ გასაჭირს?

მამაკაცი არ მპასუხობს, ზეცას გასცქერის და უმისამართოდ იგინება.

ცაზე უომრალი ღრუბლები ჩამოწოლილა. მოსკოვი განაბულია, ავისმომასწავებლად განაბული.

მერაბ აბდალაძე,
მოსკოვის ეკ. ხამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი.



ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖ ᲛᲘᲥᲐᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲣᲮᲝᲠᲪᲝᲗᲐ ᲖᲔᲪᲘᲡᲐ ᲫᲐᲚᲗᲐ

8 (21) ნოემბერს ქრისტიანული ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას წმიდა მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვა უხორცო ზეციური ძალებისა — მთავარანგელოზებისა და ანგელოზებისა.

ანგელოზი — ესაა ზოგადი სახელი ზეციური ძალებისა.

ქვეყნის დაბადებამდე ღმერთმა ანგელოზთა სამყარო — ცანი შექმნა. გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვით — „ჯერ-იყო პირველად უხილავთა დაბადება და მერმეღა ხილულთა, რომელ-არს ცაი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა, და მერმე უხილავისაგან და ხილულისა ჰქმნა კაცი... პირველ უკუე სხუათა დაბადებულთასა მოიგონნა (ღმერთმან) ანგელოზი და მოგონება მისი — საქმე იყო. სიტყვითა აღსრულებული და სულითა სრულქმნილი“.

ანგელოზები უხორცო, სულიერი ძალებანი არიან (დიონისე არეოპაგელის სიტყვით, მათი „არსება“ — „ძალად“ ითქმის; ეძიოთმეა, რომ ანგელოზებს „ზეციურ ძალებს“ ვუწოდებთ და არა „ზეციურ არსებებს“). დავით წინასწარმეტყველის თანახმად, ღმერთმა „შექმნნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი.— ალად ცეცხლისა“. ამით წინასწარმეტყველმა გამოსახა მათი სიმსუბუქე, მხურვალება და მისწრაფება ღმრთის ბრძანების აღსასრულებლად (იოანე დამასკელი).

კაცთათვის ანგელოზები უხილავნი არიან. თავისუფალი ნებით შექმნილნი („თვითმფლობელნი“), მუდამ ღმერთს ემსახურებიან და მისი მადლით აქვთ უკვდავება. ამიტომაც წმიდა მამათაგან ისინი „მეორე ნათელად“ იხსენებიან (პირველი ნათელი — ღმერთია, მესამე ნათელი — კაცნი).

პატივი და წარჩინება თითოეულ ანგელოზს სხვადასხვა აქვს ღმრთის წინაშე. ისინი განყოფილნი არიან ტრა დასად: ქერაბინნი, სერაბინნი, საყდარნი, უფლებანი, ხელმწიფებანი, ძალნი, მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი (დიონისე არეოპაგელი, „ზეცათა მღდელთმოვარობისათვის“). ისინი არიან „ძლიერნი ძალითა“, და მუდამ ღმრთის ნებას აღასრულებენ. თითოეულ ერსა და თითოეულ ადამიანს თავისი ანგელოზი ჰყავს განმგებლად და მფარველად მინჭილი ღმრთის მიერ. თუ ჩვენვე უღირსად არ გამოვაჩინეთ ჩვენი თავი მათი შეწევნისა და თანადგომისა, ისინი მუდამ კეთილისადმი წარმატებაში შეგვეწევიან.

ზეციურ ძალთა აურაცხელ სიმრავლეს ცათა შინა აქვს ერთი საქმე — მარადის გალობა ღმრთისა და მსახურება მისი ნებისა. ანგელოზთა გალობა, ესაია წინასწარმეტყველის მიხედვით, არის „წმიდა-არსი“ (ეს. 6, 3). ესაა ღმრთისათვის შესაწირი სიტყვიერი მსხვერპლი, რომელსაც ამქვეყნად ადამიანები ბაძავენ ქამის წირვის აღსრულებით.

მიქაელ მთავარანგელოზისა და სხვა უხორცო ძალთა ხსენებას წმიდა ეკლესია აღასრულებს წელიწადში ორჯერ: 6 სექტემბერსა და 8 ნოემბერს. 6 სექტემბერს მოვიხსენებთ მიქაელ მთავარანგელოზის მიერ მოხდენილ სასწაულს ქალაქ ხონეში (შევნიშნოთ, რომ ეს დღესასწაული ძველად საქართველოში ძალზე პოპულარული ყოფილა. ამის დასტურია ხონის სასწაულის სახელზე აგებული ტაძრის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ქალაქისათვის **ხონის** წოდება). 8 ნოემბრის დღესასწაულის დაწესების მოტივი კი ჩვენთვის უცნობია. ბერძნულ და რომაულ საეკლესიო კალენდრებსა და საღმრთისმსახურო კრებულებში (სვინაქსარი, იადგარი) იგი პირველად VIII საუკუნეშია დაფიქსირებული. ქართული ლიტურგიკული ძეგლებიდან მას პირველად ახსენებს იოანე-ზოსიმეს კალენდარი 956 წლისა (იხ. კ. კეკელიძე, იოანე ქართველის კალენდარი, ეტიუდები, ტ. V, 242-294). იქვე ვხვდებით მთავარანგელოზთა — მიქაელისა და გაბრიელის სხვა მოსახსენებელს — 14 ნოემბერს. ეს მოსახსენებელი ფიგურირებს უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში: VII საუკუნის „იერუსალიმურ განჩინებაში“, ჰაემეტურ კალენდარში (VIII ს.); ჭილ-ეტრატის იადგარში (IX ს.), მიქაელ მოდრეკილის იადგარში (X ს.), პარიზის „ლექციონარში“ (XI ს.).

უფრო გვიანდელ ძეგლებში ამ მოსახსენებელს ჩრდილავს 8 ნოემბრის დღესასწაული; XI საუკუნიდან 14 ნოემბრის მოსახსენებელს ვეღარ ვხვდებით.

წმიდა გერმანე კონსტანტინოპოლელს (715_730) 8 ნოემბრის საკითხავად დაუწერია „თხრობაჲ სასწაულთათვის და საკვირველებათა დიდებულისა მთავარანგელოზისა მიქაელისთა და სხუათა მათ წმიდათა ანგელოზთა“, რომელიც ქართულად ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია (ბერძნული ვერსიით „ეს თხზულება მიეწერება პანტელეიმონ დიაკონს. კ. კეკელიძე, რომელმაც შეისწავლა აღნიშნული თხზულების ორივე ვერსია, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილი ავტორი — გერმანე პატრიარქი იყოს. ის. მისი: „ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში“, ეტიუდები II, 237-268). აქ აღწერილია მთავარანგელოზ მიქაელის სასწაულები ებრაელთა, ქრისტიანთა და წარმართთა შორის. ავტორი იწყებს ღმრთის მიერ უხილავი და ხილული ქვეყნის (ცისა და მიწის) შექმნით, შემდეგ აღწერს ამპარტავნების გამო ერთ-ერთი ანგელოზის დაცემის ამბავს, და ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიაში მიქაელ მთავარანგელოზის როლს. ავტორის სიტყვით, **თითოეულ ერს, ისევე, როგორც თითოეულ ადამიანს, თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს.** მიქაელ მთავარანგელოზი თავდაპირველად ებრაელობის მცველად ყოფილა მიჩნეული, მაგრამ რაკი მათ ქრისტე არ იცნეს ღმერთად და ჯვარს-აცვეს, როგორც უსჯულო კაცი, „ამისთვის მოუვლინა მათ ღმერთმან კუერთხი იგი რკინისაჲ — ძლიერებაჲ იგი ჰრომთაჲ და ახოცნა იგინი კეისარმან უესპასიანე და ტიტე ძემან მისმან, და საფუძველთგან დაარღვიეს ქალაქი იგი და ტაძარი და სამსი ბევრი ღმრთისმბრძოლთა მათ ჟურიათანი მოსწყვიდნეს და სხუანი მათგანნი განაბნინეს ყოველთა შორის წარმართთა“. განდევნილ ებრაელთა ნაცვლად ღმერთმა წარმართთაგან მოუწოდა ქრისტიანებს, და ამიერიდან მიქაელ მთავარანგელოზი მათ მცველად და მფარველად გადაიქცა; მრავალ ნიშნებსა და სასწაულებს აღასრულებს მათ შორის.

ამ სასწაულთაგან გერმანე პატრიარქი ჩამოთვლის შემდეგს: ა) ხონეში მოხდენილ სასწაულს, ბ) მთავარანგელოზის გამოცხადებას არგონავტებთან და კონსტანტინე იმპერატორთან. გ) სპარსელებისა და საარკინოზების წინააღმდეგ ბრძოლაში შეწევნას, დ) მრავალრიცხოვან კურნებასა და სხვ.

ქართული საღმრთისმეტყველო შეხედულებით, მიქაელ მთავარანგელოზი განსაკუთრებული მფარველია ქართველი ქრისტიანობისა. იგი იცავდა ქართველებს მრავალი მომხვდურის წინააღმდეგ ბრძოლაში, უნერგავდა მტკიცე სარწმუნოებასა და საღმრთო სასოებას.

მთავარანგელოზის სახელზე მრავალი ეკლესია აუშენებიათ ქართველებს. ზეციური შემწისადმი მათი პატივისცემის გამომსატველია ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი დიდებული ქმნილება, როგორიცაა იკორთის მთავარანგელოზის ტაძარი (სამაჩაბლოში) აგრეთვე ქუთაისის „მწვანე ყვავილა“, მენჯის მთავარანგელოზი და მრავალი სხვა.

●

მთავარანგელოზთა დღესასწაული — 8 ნოემბერი — საეკლესიო კალენდარში მოხსენებულია „ასე: „კრება მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა“.

დღესასწაულის ასეთი დასახელება, ხშირად მორწმუნეთა დაბნეულობას იწვევს: რა „კრება“ იგულისხმება აქ; ვინ შეიკრიბნენ და რა მიზნით; რა მოჰყვა ამ შეკრებას...

მსგავს შეკითხვებს არცთუ იშვიათად გაიგონებთ ეკლესიაში, პასუხი კი ყოველთვის დამაჯერებელი ვერ გამოდის. ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა მცირეოდენი კომენტარი ამ საკითხზე.

„კრება“ — ამ სახელწოდებით, საეკლესიო კალენდარი სხვა რამდენიმე დღესასწაულსაც იცნობს:

1. „კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი იყო მიასინეს“ (1 სექტემბერი).
2. „კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა“ (26 დეკემბერი).
3. „კრება სამეოცდაათთა მოციქულთა“ (4 იანვარი).
4. „კრება იოვანე ნათლისმცემელისა“ (7 იანვარი).
5. „კრება მთავარანგელოზისა გაბრიელისა“ (26 მარტი, 13 ივლისი).
6. „კრება ათორმეტთა მოციქულთა“ (30 ივნისი).

„კრებას“ ბერძნულ კალენდარში შეესაბამება ამავე მნიშვნელობის მქონე ტერმინი — „სვინაქსის“, ასევეა სლავურშიც — „собор“

უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში („იერუსალიმური განჩინება“, იოვანე-ზოსიმეს კალენდარი და სხვა) ზემოაღნიშნული დღესასწაულები ან არაა მოხსენებული (უმეტესად ასეა), ან მოხსენებულია სხვა ფორმით, „კრების“ გარეშე. მაგალითად: იოვანე-ზოსიმე 30 ივნისს აღნიშნავს: „...და ყოველთა მოციქულთაჲ“: 13 ივლისს — „...და გაბრიელ მთავარანგელოზისაჲ“ და სხვ. (მთავარანგელოზთა ხსენებას იოვანე-ზოსიმე აღნიშნავს არა მარტო 8 ნოემბერს, არამედ მის წინა და მომდევნო დღეებშიც).

სამაგიეროდ, ტერმინი „კრება“ ფიგურირებს სხვა შემთხვევებში. „იერუსალიმურ განჩინებაში“ ასეთი დღეებია: „დღესა ორშაბათსა პირველსა, მწუხრი, **კრებაჲ ანანტასიაჲ**“ (ე. ი. მსახურება სრულდება იერუსალიმის „ანასტასისის“ ანუ აღდგომის ტაძარში), „დღესა ხუთშაბათსა მესამესა — **სამეჯამს კრებაჲ**“ (მსახურება სრულდება მესამე ქამს), „მეორესა კვირიაკესა — **კრებაჲ ხონს**“, „დღესა ორშაბათსა მეორესა ზატიკსა — **კრებაჲ იოვანე-წმიდაჲ**“;

„დღესა ოთხშაბათსა მეექუსესა ზატიკსა — **კრებაჲ ზაქარია-წმიდაჲ**“ და ა. შ.

იოვანე-ზოსიმეს კალენდარში გვხვდება: **„კრებაჲ მარტვირიონს“** (ე. ი. მარტვირიონის ეკლესიაში; 14 სექტემბერს; **„კრებაჲ ხონს“** (16 სექტემბერს); **„კრებაჲ ასამაღლებელსა“** (ე. ი. ქრისტეს ამაღლების ადგილას; 17 სექტემბერს); **„კრებაჲ ბეთლემს“**, (18 სექტემბერს); **„კრებაჲ გოლგოთას“** (19 სექტემბერს), „ბეტოფორის დაბასა — **კრებაჲ ღმრთისმშობელისათვის**“ (14 აგვისტო) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, „კრებაჲ“ აქ იგულისხმება „ღმრთისმსახურების“, „დღესასწაულის“, „ზეიმის“, „სადღესასწაულო შეკრების“ მნიშვნელობით. ამავე აზრითაა ნახმარი ეს სიტყვა ძველი ქართული მწერლობის მრავალ ძეგლში:

პასექის საეკლესიო კანონის მე-8 გალობის ძლისპირში ნათქვამია: „ესე არს წმიდა ღა ჩინებულ დღე, — საღმრთო დღე ესე ერთშაბათი, და დედუფალ და უფალ, და დღესასწაული დღესასწაულთა, კრება კრებათა, რომელსა შინა ვაკურთხევთ ქრისტესა საუკუნოდ“. მაშასადამე, აღდგომის დღე მიჩნეულია „დღესასწაულთა (დღესასწაულად“, „კრებათა კრებად“. აქ „დღესასწაული“ და „კრება“ იგივეობრივი ცნებებია, რასაც ბერძნული ტექსტიც ადასტურებს: „კრებაჲ“ აგილზე იქ წერია „პანეგირი“ (დღესასწაული, ზეიმი). სლავურში კი მისი შესატყვისია „торжество“.

გერმანე კონსტანტინოპოლელის ზემოაღნიშნულ თხზულებაში კონსტანტინე იმპერატორის შესახებ ვკითხულობთ: „ბრწყინვალედ დღესასწაულობდა წლითი-წლად **კრებასა მთავარანგელოზთასა** თთუესა ნოემბერსა რვასა“. აქაც, რასაკვირველია, „კრება“ — დღესასწაულს აღნიშნავს. სხვა მაგალითები შეგვიძლია დავასახელოთ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით: **„დღესასწაულთა და კრებათა** იყოს მანანაჲ და ცხობილი“ (ეზეკ. 46, 11), „რაჰმე ჰყოთ **დღეთა კრებისათა**, დღეთა დღესასწაულისა უფლისათა?“ (ოსე IX, 5) და ა. შ.

„კრების“ შესატყვისად ბერძნულში გვაქვს ხან „პანეგირის“, ხან „სვინაქსის“. საღმრთისმსახურო წიგნი — „სვინაქსარი“ ქართულად ხშირად „კრებანი“-ს სახელწოდებით გადმოდის. მაშასადამე, „სვინაქსარი“ — **საღმრთო კრებათა** (საეკლესიო დღესასწაულთა) ნუსხის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. მოგვიანებით მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და **ტიპიკონის** სინონიმად იქცა (მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის „დიდი სვინაქსარი“).

იოვანე-ზოსიმე თავის კალენდარს (მთელი წლის **დღესასწაულთა ანუ კრებათა** ნუსხას) ასე ასათაურებს: „კრებაჲ თთუეთა წელიწადისათაჲ“. მართალია, სათაურში „კრებაჲ — მხოლობით რიცხვში გვაქვს (ვფიქრობთ, კეთილხმოვნების მიზნით), მაგრამ ანდერძში არაერთხელ გვხვდება „კრებანი“: „ესე **კრებანი** (ე. ი. კრებათა, დღესასწაულთა ნუსხა) ოთხითა დედითა დამიწერიან“, „ყოველნი ესე კრებანი (ე. ი. დღესასწაულნი) რიცხულ მას თთუეთასა წესისამებრ მართლისა განეწესენ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 8 ნოემბრის „კრებაჲ“-ს დაწესების საბაბი ჩვენთვის უცნობია. არ ვიცით აგრეთვე სამეოცდაათთა მოციქულთა კრების (4 იანვარი), მთავარანგელოზ გაბრიელის კრების (13 ივლისი) დაწესების მოტივები. ზოგიერთი „კრების“ შესახებ კი შეგვიძლია გამოვთქვათ აზრი:

ქრისტეს შობის დღესასწაული (25 დეკემბერი) მთლიანად მაცხოვარს ეძღვნება, მაგრამ რადგან ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის ცენტრში ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელიც დგას, ამით უნდა იყოს გამოწვეული ქრისტეს შობის მეორე დღეს 26 დეკემბერს მისი „კრების“ (დღესასწაულის, თაყვანისცემის) დაწესება. ღმრთისმშობლის „კრება“ არ შეიძლებოდა თვით საუფლო დღესასწაულს დამთხვეოდა, რადგან იგი მთლიანად უფლისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი, მაგრამ არც ღმრთისმშობლის საპატივსაცემო განსაკუთრებული მსახურების შეუსრულებლობა იქნებოდა მიზანშეწონილი, ამიტომაც, როგორც ჩანს, ქრისტეს შობის მეორე დღეს მისი „კრება“ დაუსწესებიათ.

იგივე მიზეზი უნდა ჰქონდეს იოვანე ნათლისმცემლის „კრებად“ ნათლისღების მეორე დღის (7 იანვრის) დადგენას, მთავარანგელოზ გაბრიელის „კრებად“ — ხარების მეორე დღისა (26 მარტი), ათორმეტმოციქულთა „კრებად“ კი — თავთა მოციქულთა (პეტრესა და პავლეს) ხსენების მეორე დღისა (30 ივნისი). ეკლესიამ განსაკუთრებული პატივით შემოსა საუფლო (ნათლისღება), საღმრთისმშობლო (ხარება) და მოციქულთა (პეტრე-პავლეს) დღესასწაულები; მაგრამ ამ დღესასწაულებთან დაკავშირებულ წმიდა და მართალ ადამიანებს მისი მეორე დღე დაუწესა საზეიმო „კრებად“.

„კრებაჲ“, როგორც ლიტურგიკული ტერმინი, ხშირად იხმარებოდა საღმრთისმსახურო პრაქტიკაში; სახელდობრ, მოსახსენებელთა შედგენის დროს, საზეიმო და სადღესასწაულო შეკრებას, რომლის დროსაც ცალკეულ პირთა. მოსახსენებლად ყამისწირვა უნდა შეესრულებულიყო, ჩვეულებრივ, „კრებად“ მოიხსენებდნენ. ამის მაგალითებს მრავალად ვხვდებით სვანეთის წერილობით ძეგლებში:

„უფალო ღმერთო, აშენე, აკურთხე სახლი და საყოფელი სახელითა; ღმერთო, მიქაელ თავარანგელოზო, დიდი დღე მიეც გუტუს გურჩიანს, **კრება შეგიყარეს** ღმრთის სალოცველად, სულისა სახსრად“ (სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, 1986, 275).

„ესე არს **ყოვლადწმიდაჲ უბიწო კრებაჲ**, რომელნი დასხნეს და განაწესნეს წმიდათა მოციქულთა, ბრძანებითა ღმრთისათა, პრომს და იერუსალემს, და ყოველთა მონასტერთა და ქალაქთა და სოფელთა და ეკლესიათა. დაიწერა წმიდა ესე მარტიანე სალოცველად ყოველთა **ხუანეთისა კრებისა** შემომწირველთა და შემოვედრებულთათვის“ (იქვე, გვ. 278).

„ღმერთო, აშენე, აკურთხე სახლი და საყოფელი ბაბაშის კეციანის, **კრება შეგვყარეს**, ორმოცდახუთი ხარი და სხვა საკლავი შესწირეს ღმრთის სალოცველად, სულის სახსრად; ღმერთო, გაბრიელ მთავარანგელოზო, **კრება** ღირსიანი **უყავ**“ (იქვე, გვ. 291).

ჩვენი წინაპრები, როგორც ვხედავთ, უფალს ეევედრებოდნენ, მიეღო მათი ლოცვა და მსახურება, „ღირსიანად“ შეერაცხა მათი შეკრება-დღესასწაული.

ჩვენი დღევანდელი [illegible] ამიც — კრება წმიდისა მიქაელ მთავარანგელოზისა და სხვა უსხეულო ზეციური ძალებისა —ღმრთივ-სათნოდ მისათვალველი ყოფილიყოს. ზეცის მხედრობათა მთავარანგელოზის — მიქაელის ლოცვითა და შუამდგომლობით ღმერთმა მოყვარე განგვიმრავლოს და მტერი დაგვიმარცხოს. ამინ!

ე. ძ.

რეპლიკა

„ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲓᲠᲝᲜᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ „ᲙᲐᲢᲔᲮᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

„გაზეთ „დრონის“ ა. წ. № 41_42 ნომრებში დაიბეჭდა — „მაქსიმილიენ რობესპიერი პრესის თავისუფლების შესახებ“. არც წინასიტყვაობასა და არც თარგმანს გაცხადებული ავტორი არა ჰყავს, ამიტომაც, ბუნებრივია, ამ პუბლიკაციის კოლექტიურ ავტორად „დრონის“ რედაქცია ჩაითვალოს. წინასიტყვაობაში წერია: „ოცდაცამეტი წლის მაქსიმილიენ რობესპიერმა, რევოლუციონერმა და ბრწყინვალე ორატორმა, ფრანგი ხალხის კეთილგანწყობა თავისი შეუპოვრობითა და პატიოსნებით მოიპოვა. 1791 წლის მაისში მან „კონსტიტუციის მეგობართა საზოგადოებაში“ წარმოთქვა სიტყვა პრესის თავისუფლების შესახებ. ეს გამოსვლა მაშინვე გამოსცა ეროვნულმა სტამბამ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში კი ითარგმნა რუსულ ენაზე. 1959 წელს ეს სიტყვა დაიბეჭდა რობესპიერის სტატიებისა და მოხსენებების კრებულში“. შემდეგ წარმოდგენილია თარგმანი.

ყველა განათლებული და პატიოსანი ადამიანისათვის ნათელია, რომ საფრანგეთის ლუციფერიანული და ანტროპოფაგური რევოლუციის პირსისხლანი ბელადისა და ფრანგი ხალხის ჯალათის, „ტერორის“, როგორც პოლიტიკური დოქტრინის, თეორეტიკოსისა და მისივე მთავარი აღმასრულებლის მაქსიმილიენ რობესპიერის პატიოსნების მტკიცება ან სრული უმეცრების, ანდა — გაცნობიერებული ღვთისმბრძოლობის მაჩვენებელია! ხოლო პრესის თავისუფლების რობესპიერისეული გააზრების სიბრძნედ წარმოჩენა, რაც წინასიტყვაობიდან აშკარად იგრძნობა, ტოლფასია, ვთქვათ, თანასწორობის იდეის ლენინისეული გაგების კაცთმოყვარეობად დასახვისა. ამ ანბანური ჭეშმარიტების არცოდნა სამარცხვინო პროვინციალიზმია, ხოლო შეგნებულად შეგნებულად უგულვებელყოფა — უზნეობა!

ᲖᲘᲜᲐᲓᲘ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲐᲑᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

P.S. **გაზეთ „დ[illegible] მოკიდებულება რობესპი[illegible]ოვნებისადმი მაინც უმე[illegible] ნაყოფია და არა — ბოროტე[illegible] კოლოგიისა, რედაქციას ვურჩევ[illegible] ვენი პროტეუსს „მოღვაწეობაზე“ ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად ბროკჰაუზის ენციკლოპედიაში მოძებნოს ციტატა „ტერორი“ და გაეცნოს მის ქვემოთავსებულ სტატიას.**



მეფე გიორგი I — „უშიში ვითარცა უხორცო“

სახელოვანი მეფის ბაგრატ III კურაპალატის სიკვდილის შემდეგ, 1014 წელს, საქართველოს სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ, ჯერ კიდევ ყრმამ, გიორგი პირველმა დაიკავა. იგი „იყო რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა“.

გიორგი პირველის მეფობის პერიოდი თითქოსდა უშფოთველი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. მას ხომ მამამ მემკვიდრეობით, უწყალობა გაერთიანებული საქართველო, რომელსაც მძლავრი სამხედრო პოტენციალი გააჩნდა. გარეშე და შინაური მტრები დათრგუნული იყო, ქვეყანა ფიზიკურად და სულიერად მოღონიერებული გახლდათ.

და მაინც, მეტად მძიმე გამოდგა გიორგი პირველის მეფობის ხანა.

გამეფებისთანავე თავი წამოჰყო შინაურმა განხეთქილებამ. პირველად მცირეწლოვან მეფეს განუდგა „ქვეყანა კახეთ-ჰერეთისა და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანათა კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“.

არც გარეშე ძალა აღმოჩნდა განზე მდგომი. ამ პერიოდში ისეთ მძლავრ და აგრესიულ ქვეყანას, როგორიც ბიზანტია იყო, მართავდა სისასტიკით ცნობილი იმპერატორი ბასილ II. ეს ის ბასილია, რომელსაც ყრმობის პერიოდში დიდი სამსახური გაუწია დავით კურაპალატმა აჯანყებული ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. მაშინ ბასილმა დავითს მადლობის ნიშნად აღმოსავლეთის მიწები უბოძა, მაგრამ შემდგომ ეს მხარე ქართველებს წაართვა. ამ აქტს ქართველთა მესვეურები არასოდეს შეურიგებიან და მხოლოდღა ხელსაყრელ მომენტს ელოდნენ. სწორედ ეს მიწები გახდა საბაბი ქართველთა და ბერძენთა იმ სისხლისმღვრელი ომებისა, რაც თითქმის განუწყვეტლივ გრძელდებოდა გიორგი პირველის მეფობის დროს.

მაშინ, როდესაც გიორგი პირველი ტახტზე აბრძანდა, ბიზანტიის იმპერატორი ბულგარეთში ბრძოლებს ეწეოდა. ბულგარელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს, რისთვისაც ბასილი მათ დაუნდობლად ყლეტდა და აწამებდა. სწორედ ამიტომაც უწოდეს მას ბულგარეთმსვლელი. ბრძოლას დასასრული არ უჩანდა. ამ მომენტით ისარგებლა მეფე გიორგიმ და წარმომეულ მხარეს მეფობის დასაწყისშივე დაეუფლა.

ბასილ II ხარბი იყო და ადვილად არაფერს დათმობდა, მით უმეტეს, რომ სადავო ტერიტორია, სამხედრო თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა.

ამიტომაც ბულ[illegible] თიდან ძლევამოსილად დაბრ[illegible] ბასილმა მაშინვე წერილ[illegible] უგზავნა გიორგი პეფეს და სად[illegible] ერიტორიის სასწრაფოდ დაცლ[illegible] ითხოვა.

მეფე გიორგი ამ წინადადებას არ დათანხმებია და საომარი მზადება დაუწყია. იგი, თურმე, ეცადა ბიზანტიის წინააღმდეგ მოკავშირეები გამოენახა და ამ მიზნით გაუგზავნია საიდუმლო მიმართვა ეგვიპტის ხალიფის ალჰაქიმისთვის. წერილში გიორგი მეფე ალჰაქიმს წინადადებას აძლევდა ერთდროულად გამოსულიყვნენ ბიზანტიის წინააღმდეგ.

ეს ამბავი ბასილ მეორეს გაუგია და ძალზე განრისხებულა. მაგრამ გამოცდილ იმპერატორს რისხვა დროებით დაუკავებია და გარეგნულად ისე მოქცეულა, თითქოსდა არაფერი იცოდა. მალე მას ჯარის შეკრება უბრძანებია და ხმა დაუყრია ასურეთში საბრძოლველად მივემგზავრებიო. შემდეგ, ქართველთა თვალის ასახვევად, იმ მიმართულებით სურსათ-სანოვაგეც კი გაუგზავნია.

საბრძოლველად გამზადებული ლაშქარი, ბოლო მომენტში, ბასილს საქართველოსკენ მოუბრუნებია და ჩვენს საზღვრებს მოულოდნელად მოსდგომია. ეს მომხდარა გიორგი მეფის გამეფების „მეშვიდე წელსა“.

გიორგი პირველიც მსწრაფლ მომზადებულა და მტერს ბასიანთან დახვედრია.

თურმე დიდხანს ვერ ბედავდნენ მოწინააღმდეგენი ერთმანეთთან შებმას. ბოლოს მაინც გიორგი მეფეს გადაუწყვეტია მორიდებოდა ძლიერ მტერთან ბრძოლას და ჯარით უკან გამობრუნებულა. მალე მათ ბერძნები დადევნებიან და იწროებში გაჭიმული ქართველთა ლაშქრის უკანა რიგებისათვის დაუტყაბამ. ქართველები შემობრუნებულან და ბრძოლაში ჩაბმულან. ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ქართველთა დიდებულნი — რატი ლიპარიტის ძე და ხურსი.

ჯარის წინ მიმავალი მეფე გიორგი მსწრაფლ მობრუნებულა და ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმულა, „განვიჴადა თჳთჳ გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან იყო და უშიში ვითარცა უჴორცო“. თანაბარი ბრძოლა დიდხანს მიმდინარეობდა. „ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სიჳლტოლად განეშზადა ბასილი მეფე“-ო, გვამცნობს მემატიანე.

მაგრამ ბოლოს, რატომღაც ბრძოლას გიორგი მეფე „მორიდეს და წარმოვიდეს“, რითაც მსწრაფლ უსარგებლია ბიზანტიის იმპერატორს და დატოვებული ტერიტორია აუკლია. მალე ქართველთა ლაშქარს მაშველი ძალა მოსვლია, მაგრამ ამჯერად ბრძოლას ბასილი განრიდებია და უკან გაბრუნებულა. გზადაგზა კი, ჯავახეთი და არტაანი მოუოხრებია.

ბოლოს ბერძენთა ლაშქარი ტრაპიზონის მახლობლად დაბანაკებულა, იქ დაუზამთრებია და ახალი ბრძოლებისათვის სამზადისს შედგომია. ამჯერად ბასილ მეორეს გადაუწყვეტია აფხაზეთში ზღვით ხომალდები გაეგზავნა და საქართველო ამ გზით დაეწიოკებინა. ეს ამბავი გიორგი პირველს გაუგია და ბასილთან ელჩი გაუგზავნია, რათა მოლაპარაკება დაეწყოთ „ზავისა და სიყუარულისთჳს“.

ამ პერიოდში ბიზანტიაში ბასილ მეორის წინააღმდეგ „იქმნა განდგომილება“. ქართველთა მესვეურებმა, თურმე, განდგომილების ამბავი რომ შეიტყვეს, გამხნევდნენ და ბერძნებს საქართველოსთვის მძიმე საზავო პირობებზე უარი უთხრეს.

ბიზანტიის იმპერატორმა განდგომილები მალე მოაშთო და გიორგი მეფეს ერთ-ერთი განდგომილის მოკვეთილი თავი გამოუგზავნა. ამის შემდეგ ბასილი ბასიანს მოადგა და გიორგი მეფისაგან „ითხოვდა ჭუეყანათა და ციხეთა და ააღუთქვამდა ზავსა და მშჳდობასა“.

გიორგი მეფემ ბასილთან ზვიად ერისთავი გაგზავნა და დაავალა მოლაპარაკება გაეხანგრძლივებინა, რათა თუ ზავის დადება არ მოხდებოდა, დრო მოეგო და ლაშქარი საომრად განემზადებინა. საქმე უბრძოლველად მაინც ვერ დამთავრდა. როგორც ჩანს, ქართველებმა საბრძოლველად გამზადება რიგიანად ვერ მოასწრეს, ბერძნებმა დაასწრეს და ჩვენი ჯარი ალაში მოაქცეს.

ბიზანტიის იმპერატორს შინისკენ მიეჩქარებოდა, ამიტომ გიორგი მეფესთან თავისი წარმომადგენელი გაგზავნა და ზავი მოითხოვა. ქართველები იძულებული გახდნენ საზავო პირობები მიეღოთ. მემატიანე მოგვითხრობს: „და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თავისი ბაგრატ, სამისა წლისა ყრმა ჩვილი, და მისცა ციხე ათორმეტი“.

ბასილ მეორემ საქართველოს ტახტის მემკვიდრე ბაგრატი სამი წლით წაიყვანა. იმპერატორმა პირობა არ დაარღვია და ბაგრატი დათქმულ დროს სამშობლოში თავის მოხელეს კატაბანს გამოატანა. მალე მათ ბიზანტიის სამეფო კარის სხვა მოხელე — მანდატური დაედევნა და მაშინ, როცა ბაგრატი თავისი ქვეყნის საზღვარში შევიდა, ხოლო კატაბანი უკან გამობრუნდა, მანდატურმა მას ბასილ მეორის ძმის — კონსტანტინეს წერილი მიართვა. წერილში კონსტანტინე იტყობინებოდა ბასილის გარდაცვალებას, თავის გამეფებას და კატაბანს თხოვდა ბაგრატი ბიზანტიის დაებრუნებინა.

ბიზანტიელი მოხელენი უკან გამობრუნდნენ, მაგრამ რაჟამს საქართველოს საზღვარს მიეახლნენ თვალწინ გრანდიოზული სანახაობა დაუდგათ, ქართველები ტახტის მემკვიდრეს ეგებებოდნენ. ბერძენთა კატაბანმა ბაგრატს უკან გაბრუნების თქმაც კი ვერ გაბედა და კონსტანტინეს გამოგზავნილ მანდატურს უთხრა: „უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე არ ეგების“.

ბიზანტიის ახალ იმპერატორს, ბასილ მეორის ძმას კონსტანტინეს, ტახტზე ასვლის მეორე წელს საქართველოში სიბოროტით განთქმული საჭურისი ნიკიტა პისიდიელი გამოეგზავნა, მაგრამ იგი საქართველოში იმ დროს მოსულა, როცა გიორგი მეფე უკვე გარდაცვლილი ყოფილა.

ტახტის მემკვიდრის, მცირეწლოვანი ბაგრატის დაბრუნების შემდგომ „ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვანებითა, ჭაბუკობითა და სიქუაღლითა, ტანითა და სახითა, ცნობითა, და სავსე ყოვლითა განგებითა საკელმწიფოთა“.

მეტად მშფოთვარე იყო გიორგი პირველის მეფობის ხანა. იგი სულ ახალგაზრდა, 25 წლისა აღესრულა და ივანე ჯავახიშვილის თქმით, მთელი თავისი მეფობა და ძალღონე ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. და მაინც საქართველოს იმ პერიოდშიც აღმოჩნდა ძალა წარმატებით განეგრძო ქვეყნის კულტურული აღმშენებლობის საქმე. სწორედ გიორგი პირველის მეფობის ხანაში აიგო არა ერთი სასულიერო კერა და ქართული ხუროთმოძღვრების უკვდავი ძეგლი — სვეტიცხოველი, რომლის აგებას — „დიდოსტატის მარჯვენა“ უძღვნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა კონსტანტინე გამსახურდიან.

მოამზადა
გ. მესხიშვილმა
უშანგ ოგოლაძის ნახატი

გამოიწერეთ ყოველკვირეული გაზეთი

„თავისუფალი საქართველო“

3 თვით—6 მან. 45 კაპ.

6 თვით—12 მან. 90 კაპ.

12 თვით—25 მან. 80 კაპ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

ტოტალიტარიზმი

ტოტალიტარიზმი არის ზოგადი ტერმინი ყველა იმ სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმის აღსანიშნავად, რომელშიც სრული (ტოტალური) კონტროლია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, ხელისუფლების სტრუქტურა ეფუძნება ერთპარტიულ სისტემას, სახელმწიფო იდეოლოგია შეღწეულია ეკონომიკაში, კულტურაში, საზოგადოებრივ, ყოფით და პირად ცხოვრებაშიც კი, კანონით შეუზღუდავი უფლებები აქვს მინიჭებული ხელისუფლებას, აკრძალულია დემოკრატიული და ოპოზიციური ორგანიზაციები, ლიკვიდირებულია კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლება, ხორციელდება რეპრესიები, ძალადობა. სახელმწიფოს ჰყავს ლიდერი — „ფიურერი“, „დუჩე“, „კაუდილიო“ ან სხვ.

ტოტალიტარიზმის ცნებაში შეიძლება იგულისხმებოდეს: ა) ტოტალიტარული რეჟიმი, ბ) სოციალურ-პოლიტიკური აზრი, იდეოლოგია, გ) ავტორიტარული სახელმწიფოს ფორმა და სხვ.

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ მომდინარეობს ლათინური ძირის (totalitas — მთლიანობა, სისრულე) ფრანგული სიტყვიდან totalitaire პოლიტიკურ ლექსიკაში შემოიტანა იტალიის ფაშისტური პარტიისა და მთავრობის მეთაურმა ბ. მუსოლინიმ თავის მიერ შექმნილი რეჟიმის და ამ რეჟიმამდელი საზოგადოებრივი მოძრაობის დასახასიათებლად 20-იან წლებში. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი თავიდან გამოიყენებოდა ფაშისტური რეჟიმების კრიტიკული განხილვისას. „ტოტალიტარული რეჟიმი“ პირველად 1928 წელ გამოჩნდა პრესაში ასევე ფაშისტური რეჟიმის აღსანიშნავად. ეს გამოთქმა „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში“ 1933 წელს მოხვდა პირველად. დროთა განმავლობაში ტერმინ „ტოტალიტარიზმის“ შინაარსი გაფართოვდა. დასავლურ სოციალურ მეცნიერებაში შემდგომ მას სხვა დატვირთვაც დაემატა, კერძოდ მას იყენებდნენ სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც ფაშისტურ სახელმწიფოებთან აიგივებდნენ.

ბოლო ხანებში ტერმინები „ტოტალიტარიზმი“ და „ტოტალიტარული“ ჩვენთანაც ფართოდ გამოიყენება და ხშირად ისე, რომ გააზრებული არ არის მისი შინაარსი, რაც აზრის დამახინჯებას და დეზინფორმაციას იწვევს.

ტოტალიტარიზმის ძირითადი იდეები XX საუკუნის 20-იან წლებში ჩამოაყალიბა იტალიური ფაშიზმის ფილოსოფოსმა ჯოვანი ჯენტილემ, ხოლო მუსოლინიმ პრაქტიკულად განახორციელა ეს იდეები. ტოტალიტარიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის გენეზისს ზოგი ისტორიკოსი ხედავს XIX საუკუნის ბოლოს ანტილიბერალურ და სოციალისტურ პოლიტიკურ მიმდინარეობებში, აგრეთვე XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკურ სცენაზე „მასობრივი ადამიანის“ გამოსვლაში.

სპეციალური ლიტერატურა ტოტალიზმის შესახებ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩნდება. ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაშრომებად ითვლება ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ფრ. ჰაიეკის „მონობის გზა“, გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსის და პოლიტოლოგის ჰანა არენდის „ტოტალიტარიზმის წყაროები“, გერმანელი სოციოლოგის თ. ადორნოს „ავტორიტარული პიროვნება“ და სხვ.

ტოტალიტარიზმი XX საუკუნისთვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური რეჟიმია და არსებითად განსხვავდება ისტორიაში არსებული ყველა სხვა რეჟიმისგან. იგი განსხვავდება საბელმწიფოებრივი ძალადობის ისეთი ფორმებისგან, როგორიცაა დესპოტია, ტირანია, დიქტატურა. მისთვის დამახასიათებელი ნიშნებია მონოლითური მასობრივი პარტია, ყოვლისმომცველი იდეოლოგია, ბელადის კულტი, მასობრივი ტეროროს აპარატი, იმპერიალიზმი, ბიუროკრატიის ძალმომრეობა; ტოტალიტარიზმი ამართლებს გაბატონებული პოლიტიკური რეჟიმის დესპოტიზმსა და თვითნებობას, შეუზღუდავ კონტროლს უწევს საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებას; თავის მიზნებს ახვევს ქვეყნის მთელ მოსახლეობას, შეიარაღებული ძალადობის გამოყენებით ახშობს ოპოზიციას და ებრძვის სხვაგვარ აზროვნებას (თუმცა, ბევრი სოციოლოგი აღნიშნავს, რომ ეს ნიშნები უნივერსალური არ არის).

ტოტალიტარიზმის ეკონომიკური სათავეებია სახელმწიფო მეურნეობის ძართვის ცენტრალიზაცია და კონტროლი. რომელიც ეს აღნიშნული პროცესები არღვევენ ეკონომიკის თვითორგანიზაციას, იწყება საზოგადოების გადასვლა ტოტალიტარიზმზე. როგორც აღნიშნავენ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ტოტალიტარიზმი იყო „მოდერნიზაციის დიქტატურის“ შედეგი, რადგან ამ ქვეყნებს უნდოდათ გაეტარებინათ ფორსირებული ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა და მოეხდინათ ეკონომიკური ნახტომი დასავლეთ ევროპასთან შედარებით ჩამორჩენილობის პირობებში. ამიტომ აიღეს ორიენტაცია ძლიერ ხელისუფლებაზე, რაც საბოლოო ჯამში ჩიხში მოუქცა.

ტოტალიტარიზმი უპირისპირდება დემოკრატიას, პლურალიზმს და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებსა და ღირებულებებს. ტოტალიტარული იდეოლოგიური მანიპულირებით ხდება ტრადიციულ ღირებულებათა ეროზია, საკუთარი „მე“-ს დაკარგვა, „ფაშიზოიდების“ მომრავლება. ნულამდეა დაყვანილი პიროვნების ღირებულება, ის დაქვემდებარებულია სისტემის ელემენტალურ ნაწილაკად, არის მასის ატომიზირებული წარმომადგენელი.

ტოტალიტარიზმს ჩვეულებრივ მიმართავენ კრიზისულ სიტუაციაში — იყენებენ როგორც პოლიტიკური რეჟიმის ერთ-ერთ სათადარიგო ვარიანტს. მისი უკიდურესი ფორმაა ფაშიზმი. ტოტალიტარიზმი ოფიციალური იდეოლოგია და პოლიტიკა იყო ფაშისტურ გერმანიასა და იტალიაში.

ტოტალიტარულ იდეოლოგიას ქადაგებდნენ „მემარცხენე კომუნისტები“ (მაგალითად, ლ. ტროცკი) მოითხოვდა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნებში საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების მილიტარიზაციას და სახელმწიფო ცხოვრების ტოტალიტარულ კონცეფციას). დასავლური იდეოლოგია ტოტალიტარიზმის ცნებას ყველა ყოფილი სოციალისტური ქვეყნის მიმართ იყენებდა და მას უპირისპირებდა დემოკრატიული, თავისუფალი დასავლური ტიპის საზოგადოებას.

ტოტალიტარიზმის სინდრომი აქვს დღეს ბევრ განვითარებად ქვეყანას, იქ სადაც სამხედრო-პოლიციური, ნახევრადფეოდალური ანდა „ყაზარმული კომუნიზმია“.

ხშირად გვხვდება აგრეთვე გამოთქმა „ტოტალური ომი“. ამაში ისეთი ომი იგულისხმება, რომელშიც ყველა საშუალებას და რესურსებს იყენებენ მოწინააღმდეგის არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, არამედ მშვიდობიანი მოსახლეობის, მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა გასანადგურებლად.

ტოტალიტარიზმი მიუღებელია დღეს ცივილიზებული საზოგადოებისთვის. იგი არ შეესაბამება პროგრესისა და დემოკრატიის იდეებს.

ტოტალიტარიზმი მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. ამ მხრივ თვალსაჩინო ნიმუშებია ნაცობილი რუსი ემიგრანტი მწერლის ე. ზამიატინის „ჩვენ“ (1920), ინგლისელი მწერლის ო. ჰაქსლის „კონტრაპუნქტი“ (1928), „მშვენიერი ახალი ქვეყანა“ (1932) და სხვ. ნაწარმოებები.

30-იანი წლებიდან ტოტალიტარიზმის სხვადასხვა კონცეფციები ფართოდ გავრცელდა აგრეთვე სოციალურ-ფილოსოფიურ ლიტერატურაში (ა. კოესტლერი, ა. მალრო, ჯ. ორუელი, ნ. ბერდიაევი და სხვები).

ნოდარ კერესელიძე

რედაქტორი თამარ ებრალიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ჯეტრიაშვილი, თეიმურ ქორიძე, ნოდარ ფულეისკირი, [illegible]რიკა აბაიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-31-57.

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა № 20

ინდექსი 66421